



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის

მაგისტრატურის სისხლის სამართლის

მიმართულების მეოთხე სემესტრის

სტუდენტი: **გიორგი კრავეიშვილი**

ტელ: 595 06 23 99

E-mail: giorgikraveishvili@yahoo.com

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

ოსუ-ის ასოცირებული პროფესორი,
სამართლის დოქტორი **გიორგი თუმანიშვილი**

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე

**გამოძიების ეტაპზე შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის
ცალკეული პრობლემატური საკითხები**

თბილისი

2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის არსი. განხილულია საგამოძიებო მოქმედებების დროს მხარეთა უფლება-მოვალეობები და მათი თანაბარი შესაძლებლობების საკითხი, აგრეთვე, სასამართლოს როლი სამართლიანი სასამართლოს განხილვის წარმართვის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ინკვიზიციური პროცესისგან განსხვავებით, შერჯიბრებით პროცესში სასამართლოს როლი მინიმალურია, ის მაინც აღჭურვილია მნიშვნელოვან ბერკეტებით მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფისთვის.

ნაშრომში განხილული საკითხების ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეებს უნდა ჰქონდეთ საქმისწარმოებაზე სამართლებრივად გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. დაცვის მხარეს მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა ისეთ პირობებში უნდა შეეძლოს, რომ მის მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში არ იმყოფებოდეს.

თანასწორობის უფლება გულისხმობს არა მხარეთა სრულ გათანაბრებას, არამედ მათთვის გონივრულობის ფარგლებში თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებას. დაცვის მხარე აღჭურვილი უნდა იყოს ისეთი უფლებებით, რომლებიც შეძლებს კონკურენცია გაუწიოს ბრალდების მხარეს. არ უნდა არსებობდეს ისეთი რეგულაციები, რაც ბრალდების მხარეს ჩააყენებს უპირატეს მდგომარეობაში და დაუსაბუთებლად მიაყენებს უსაფუძვლო პრივილეგიებს, რომლებიც არ იქნება გამყარებული ლეგიტიმური მიზნით.

სისხლის სამართლის პროცესის ინკვიზიციურიდან შეჯიბრებითზე გადასვლამ არსებითად ახალი მოდელი დაამკვიდრა ქართულ რეალობაში. ამ პირობებში რთულია სამართლიანი ბალანსის დაცვა მხარეებს შორის, თუმცა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი კანონმდებელს ავალდებულებს საერთაშორისო პრინციპების და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების გათვალისწინებით აღმოფხვრას ის საკანონმდებლო ხარვეზები, რაც მხარეთა შორის საპროცესო უთანასწორობის მიზეზია და შექმნას კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებებით სრულყოფილი სარგებლობის შესაძლებლობა ორივე მხარისთვის.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის არსი.....	7
თავი II. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და პირის ბრალდებულად ცნობა.....	11
2.1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივრის შეტანა.....	12
თავი III. მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი ცალკეულის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას.....	16
3.1. კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვა.....	16
3.2 გამოძიების ეტაპზე მონხმის დაკითხვა მხარეთა მიერ.....	21
3.2.1 ბრალდების მხარის მიერ მონხმის დაკითხვა მაგისტრათი მოსამართლის წინაშე	25
3.2.2 დაცვის მხარის მიერ მონხმის დაკითხვა მაგისტრათი მოსამართლის წინაშე.....	26
3.3 დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის გამოკვლევა მხარეთა მიერ.....	30
3.4 მხარის მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის გადაცემა მეორე მხარისთვის ..	33
თავი IV. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე საპროცესო კანონმდებლობაში.....	35
4.1. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება კონტინენტური სამართლებრივი სისტემის სისხლის სამართლის პროცესში.....	35
4.2. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესში.....	37
დასკვნა და რეკომენდაციები.....	40
ბიბლიოგრაფია.....	43

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

ე.წ. - ევრეთ წოდებული

ა.შ. - ასე შემდეგ

მაგ. - მაგალითად

იხ. - იხილეთ

საქართველოს სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სსსკ- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ავტ. კოლ. - ავტორთა კოლექტივი

წ - პარაგრაფი

სხვ. - სხვა

ე.ი. - ესე იგი

შესავალი

მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი სისხლის სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი შემადგენელი პოსტულატია. მის გარეშე, სისხლის სამართლის პროცესი ვერ იქნება სამართლიანი და ვერ დატოვებს საზოგადოებაში განცდას, რომ მართლმსაჯულება ბრალდებულს არ უყურებს როგორც ობიექტს, არამედ ბრალდებული არის ის მოქმედი პირი, რომელსაც შეუძლია ქმედითი ზეგავლენა მოახდინოს მის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს და დაცვის მხარე არ არის ვალდებული ამტკიცოს მისი უდანაშაულობა, მას მაინც უნდა ჰქონდეს საკმარისი მექანიზმები, რითაც შეძლებს თავისი გამამართლებელი მტკიცებულებების მოძიებას, მის საპროცესო დამაგრებას და წარდგენას სასამართლოში. აღნიშნულით მოახერხებს მის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების შესუსტებას ან გაქარწყლებას.

ნაშრომის მიზანია გამოძიების სტადიაზე შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების განხილვა და ანალიზი. ასევე, ნაშრომში განხილული იქნება ის ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს მხარეთა უფლებრივ მდგომარეობაზე სისხლის სამართლის პროცესში. გარდა ამისა, წარმოდგენილი იქნება კონტინენტური ევროპისსამართლის ქვეყნებისა და საერთო სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამხარეთა შეჯიბრებითობასა და თანასწორობასთან დაკავშირებით.

ნაშრომის აქტუალობა - ქართულ კანონმდებლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელიც ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს ბრალდების და დაცვის მხარის როლს განსაზღვრავს, აქტუალური გახდა აღნიშნული საკითხი. დაცვის მხარე რიგ საგამოძიებო მოქმედებებში აქტიურ სუბიექტად გვევლინება, მაშინ როდესაც, ზოგ შემთხვევებში, უბრალო დამკვირვებლის როლს ასრულებს და მთლიანი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ბრალდების მხარეზეა მინდობილი. მხარეთა შეჯიბრებითობასა და თანასწორობაზე დამყარებული პროცესი უშვებს ბრალდების მხარის დომინირებას გარკვეულ საკითხებში, რაც გამონაკლისია, იმიტომ, რომ პროკურორი უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით და მის მოქმედებებში სუბიექტივიზმის საფრთხე ნაკლებია.

კვლევის მეთოდები - ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებულია ნორმის გრამატიკული, ისტორიული და სისტემური განმარტების მეთოდები. სამართლებრივი ლიტერატურის და ნორმატიული მასალის გააზრებისთვის ანალიტიკური მეთოდი. ასევე, შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა - მოცემული ნაშრომი შედგება შესავალის, 4 თავის, 10 პარაგრაფის, დასკვნის და ბიბლიოგრაფიისგან. ნაშრომის მოცულობაა 46 გვერდი.

თავი I. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის არსი

საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. რაც გულისხმობს მხარეთა სრულ შესაძლებლობას დამოუკიდებლად ჩაატარონ გამოძიება, მოიპოვონ მტკიცებულებები და წარადგინონ სასამართლოში. შეჯიბრებითობა საქმის წარმოების პროცესში გამოიხატება იმით, რომ პროცესში მხარეები თანაბარი უფლებებით არიან აღჭურვილნი და თანაბარი შესაძლებლობები აქვთ თავიანთი ინტერესების დასაცავად გამოიყენონ კანონით რეგლამენტირებული პროცესუალური საშუალებები.¹ სასამართლო განხილვის დროს სამართლიანობის ყველაზე ფუნდამენტური ასპექტია მოსმენის უფლება (“Right to be heard”). ეს ნიშნავს, რომ დაუშვებელია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის მთლიანად და უპირობოდ პირის სასარგებლოდ არის გამოტანილი, თუ პირს მანამდე არ მიეცა საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა.² მოსმენის უფლება რამდენიმე ასპექტით ხასიათდება. უტილიტარული თვალთახედვით, ის აუტომატურად გადაწყვეტილების მიღების ხარისხს. პირი რომლის საქმეც განიხილება, როგორც წესი, ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას და მისი მოსაზრებები შეიძლება იყოს საინტერესო და გავლენის მომხდენი სასამართლო გადაწყვეტილებაზე. გარდა ამისა, კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, რომელიც თავის მხრივ, დემოკრატიის პრინციპს უკავშირდება, აუცილებელია, რომ პირი, რომელსაც შეეხება ხელისუფლების გადაწყვეტილება, ჩართული იყოს მისი მიღების პროცესში. ეს ხელს შეუწყობს მიღებული შედეგის აღიარებას და ბოლოს ფსიქოლოგიური პერსპექტივით, მოსმენის უფლება ავითარებს კონცეფციას იმის შესახებ, რომ პირი არის არა პროცესის ობიექტი არამედ სუბიექტი.³ დაცვისა და ბრალდების ფუნქციები გამოყოფილია სასამართლო ხელისუფლებისგან. სასამართლო გამოდის მედიატორის როლში, არ მონაწილეობს მტკიცებულებათა მოძიებაში, არ გააჩნია საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება⁴. რაც შეეხება მხარეთა თანასწორობის უფლებას, ადამიანის უფლებათა პრევენდენტულ სამართალში, შეჯიბრებითი პროცესის უფლება ყოველთვის არ არის მკაფიოდ გამიჯნული მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპისგან⁵. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა

¹ მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ავტ. კოლექტივი, თბილისი, 2016 წელი, გვ.8

² შ. ტრეფსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2010 წელი, გვ. 114.

³ იქვე. გვერდი გაქვს მისათითებელი

⁴ ავტ. კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015 წ. გვ. 85.

⁵ Foucher vs France, N 22209/93, 1997 წლის 18 მარტი, §36

თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი, მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მხარეს წარმოადგენს – ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის, მათი ადოკატი, გამომძიებელი, პროკურორი. რაც შეეხება თითოეული მათგანის როლს, სისხლის სამართალწარმოების ერთ მხარეს წარმოდგენილია ბრალდების მხარე - გამომძიებელი და პროკურორი, რომლებიც უფლებამოსილებას ახორციელებენ სახელმწიფოს სახელი და მათ მხარესაა დიდი ადამიანური და მატერიალური რესურსი იმისა, რომ ჩაატარონ სრულყოფილი გამოძიების, რის შედეგად, მოიპოვონ ის მტკიცებულებები, რაც საჭიროა დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად და მის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი შედეგის მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელიც წარმოადგენს ბრალდების მხარეს და ძირითადად, როგორც პრაქტიკაშიც ვლინდება, გამომძიებელი ორიენტირებულია სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირის (ბრალდებულის) მამხილებელი მტკიცებულებების შეკრებისკენ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. შესაბამისად, მას ევალება მოიპოვოს როგორც მამხილებელი ასევე, გამამართლებელი მტკიცებულებებიც. გადაამოწმოს გამოძიების პროცესში წამოჭრილი ყველა საკითხი, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს დანაშაულის კვალითიკაციაზე ან/და საერთოდ გამოვლინდეს ისეთი გარემოება, რაც ამართლებს პირის მიერ ჩადენილ ქმედებას. მაგალითად, მის მხარესაა მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხავი რომელიმე აღიარებული გარემოება. რაც შეეხება დაცვის მხარეს, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მასაც ანიჭებს უფლებას, რომ ჩაატაროს ალტერნატიული გამოძიება და მოიპოვოს მისი გამამართლებელი მტკიცებულებები, მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარეს არ ევალება ამტკიცოს მისი უდანაშაულობა და მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარესაა. სამართალწარმოების სამართლიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მხარეთა თანასწორობაზე, რაც გულისხმობს სამართალწარმოების მხარეებისთვის ერთნაირი საპროცესო უფლებების მინიჭებას.⁷ სისხლის სამართალწარმოებისას მხარეები თანასწორუფლებიანები არიან, თუმცა რა თქმა უნდა, ვერ მოხდება მათი ტოტალური გათანაბრება, მაგრამ აღნიშნული კომპენსირებული უნდა იყოს ბრალდებულისთვის გარკვეული საპროცესო გარანტიების მინიჭებით. აღნიშნულს ემსახურება სისხლის სამართლის პროცესში, მაგ. უდანაშაულობის პრეზუმეციის, მათ შორის მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრება, ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა ღუმილის

⁶ ავტ. კოლექტივი, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2016 წელი, გვ.7

⁷ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით) გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015 წ. გვ. 87.

უფლება, საუარესო შებრუნების აკრძალვა და სხვ.⁸ დაცვის მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს და დამოუკიდებლად ჩაატაროს არაიძულებითი სახის (მოწმის და დაზარალებულის გამოკითხვა, დათვალიერება, ექსპერტიზის დანიშვნა და სხვა) საპროცესო კანონდებლობით რეგლამენტირებული მოქმედებები. დაცვის მხარე ბრალდებულის მსგავსად, უფლებამოსილია სასამართლოს მიმართლოს შუამდგომლობით ისეთი იძულებითი სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებაც, როგორცაა, მაგალითად, საექსპერტო კვლევისთვის ნიმუშის აღება და სხვ.⁹ ამასთან, აღსანიშნავია, რომ მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს, რომ დაცვის მხარეს არ აქვს უფლება ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები, და საქარველოს სსსკ-ს XVI¹ (ფარული საგამოძიებო მოქმედებები) თავში მოხსენიებულ საგამოძიებო მოქმედებები, რადგან მითითებული ღონისძიებები თავისი არსით საგამოძიებო ორგანოების უფლებამოსილებაა, რა დროსაც ხდება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში (ადამიანის პირადი სივრცის, კომუნიკაციის, საცხოვრებელი ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა) არსებითი ჩარევა. შესაბამისად, აუცილებელია ჩატარებული იქნეს საგამოძიებო ორგანოს მიერ სასამართლოს კონტროლით.

მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპი მოქმედებს, არამარტო გამოძიების ეტაპზე, არამედ სასამართლო განხილვის დროსაც, საბოლოო ინსტანციის სასამართლოს ჩათვლით. დაცვის მხარე უფლებამოსილია გაეცნოს გამოძიების მიერ მის მიმართ შეკრებილ მტკიცებულებებს, უფლება აქვს განაცხადოს აცილება როგორც პროკურორის, გამომძიებლის, ასევე მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის და სხდომის მდივნის მიმართ. დაცვის მხარეს მინიჭებული აქვს უფლება გამოთქვას ბრალდების მხარის პოზიციებზე თავისი აზრი, შენიშვნა.¹⁰ რაც შეეხება მოსამართლეს, მხარეთა ამ ურთიერთ დაპირისპირებაში წარმოადგენს ნეიტრალულ არბიტრს, რომელიც ისმენს ბრალდებისა და დაცვის მხარის პოზიციებს, აკვირდება მათ ქცევას, სამართლებრივად აფასებს მხარეთა მიერ, კანონის დაცვით სასამართლოში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და გამოაქვს კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. სასამართლო არაა უფლებამოსილი დამოუკიდებლად მოიპოვოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი მტკიცებულებები. ასევე, არაა უფლებამოსილი დაეყრდნოს ისეთ მტკიცებულებას რაც არ გამოკვლეულა სასამართლოში. სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას მხარისთვის მეორე მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გაცნობის, მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება ნათლად მეტყველებს იმ ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე, რაც მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს აქვს. ამ

⁸ იქვე. ასევე იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლი 14 დეკემბრის N1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ტიტოვო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პუნქტი 22.

⁹ ი. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2013 წ. გვ. 83

¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლი

თვალსაზრისით, განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლი მე-3 ნაწილით დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისთვის არსებული მასალის მხარისთვის სრული გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებლად ცნობას. მიუხედავად ამისა, დაცვის მხარისუფლება ამ ნაწილშიც შეიძლება შეზღუდოს. კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის მიხედვით, დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე, შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე.¹¹ აღნიშნული შეზღუდვა შეიძლება ემსახურებოდეს გამოძიების ინტერესებს, მონმეთა უსაფრთხოებასან სახელმწიფოს უსაფრთხოებას და უნდა ჰქონდეს შესაბამისი საფუძველი, რაც გაამართლებს დაცვის მხარის ამგვარად შეზღუდვას ინფორმაციის წვდომასთან დაკავშირებით. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ევროკავშირის დირექტივის თანახმად, დაცვის მხარის უფლება საქმის მასალების გაცნობაზე არ არის აბსოლუტური და და შესაძლებელია შეიზღუდოს ეროვნული უსაფრთხოების, ინფორმაციის წყაროთა დაცვის, მონმეთა უსაფრთხოების, გამოძიების ორგანოს დანაშაულის გახსნის მეთოდების საილუმლოდ შენახვის მიზნებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციაზე დაცვის მხარის შეზღუდვა აუცილებელია და აღნიშნული შეზღუდვით დაცვის მხარისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორება ხდება მოგვიანებით¹². საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, შეჯიბრებითი სისტემის სხვა ქვეყნებში მტკიცებულება მოპოვების, გაცვლისა და თანმდევი პასუხისმგებლობის ზომები მკაცრად არის განსაზღვრული. მაგ. ინგლისისა და უელსის კანონმდებლობით გამომძიებელს, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს პროცესში, აქვს როგორც გამამტყუენბელი მტკიცებულებების მოპოვების, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულება, ხოლო მტკიცებულებათა გაცვლა, როგორც წესი, დევნის ორგანოს ვალდებულებაა და ამ პროცესში გამომძიებელი არ მონაწილეობს.¹³

¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-5, მე-6 ნაწილები

¹² ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015 წ. გვ. 305, აგრეთვე, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 18 დეკემბრის № 45/2001 რეგლამენტი. ევროპული გაერთიანების ფარგლებში არსებული დაწესებულებებისა და ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვისა და აღნიშნული მონაცემების თავისუფლად გადაცემის შესახებ.

¹³ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია (სიფა), საგამოძიებო სისტემის ანალიზი, 2018 წელი, გვ. 50

თავი II. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და პირის ბრალდებულად ცნობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის საფუძველზე. აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს მხარეთა თანაბარ სამართლებრივ შესაძლებლობებს საკუთარი უფლებების/პოზიციის დამტკიცებისთვის და არ მოითხოვს მხარეთა ფაქტობრივ თანასწორობას მატერიალური ან/და ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით¹⁴. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. მაშასადამე, მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპი მოქმედებას იწყებს მას შემდეგ, რაც გამოძიების მიერ მოხდება დანაშაულის შესაძლო ჩამდენი პირის გამოკვეთა და მის მიმართ პროკურატურას გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესაძლოა მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და გამოტანილ იქნება დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. სწორედ ამ ეტაპს უკავშირებს კანონმდებელი შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს ამოქმედებას. გარდა ამისა, შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი იწყებს ამოქმედებას პირის დაკავების დროიდან, ვინაიდან ამ მომენტიდან პირი იძენს ბრალდებულის სტატუსს და მას წარმოეშობა ბრალდებულის ყველა უფლება-მოვალეობები.¹⁵ საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში; მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს. შესაბამისად, ბრალდებულს სრული უფლება აქვს ჩაატაროს შესაბამისი საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებები, რაც მისი აზრით ხელს შეუწყობს მისი გამამართლებელი მტკიცებულებათა მოპოვებას. აღნიშნული უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის

¹⁴ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015 წ. გვ. 86.

¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლი

მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა და თავად ვერ მოიპოვებს მტკიცებულებებს. ამასთან, შესაძლოა მას არც ჰქონდეს საკმარისი იურიდიული განათლება, რომ საქართველოს სსსკ-ის ნორმათა დაცვით ჩაატაროს შესაბამისი საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებები. აქედან გამომდინარე, მის ინტერესების დამცველ ადვოკატს ენიჭება დიდი მნიშვნელობა. მასზე დამოკიდებული ბრალდებულთან შეთანხმებით დაცვის რომელ სტრატეგიას აირჩევს. შესაძლოა საერთოდ არ ჩაატაროს გამოძიება, არ იყოს აქტიური მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით და მხოლოდ სასამართლო პროცესზე ბრალდების მტკიცებულებათა გამოკვლევა-შემოწმებით, მათი ეჭვქვეშ დაყენებითა და მათზე საკუთარი აზრის გამოთქმით დაიცვას ბრალდებული ან შეიძლება საერთოდ უდაოდ მიიჩნიოს წარმოდგენილი მტკიცებულებები და მხოლოდ პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული კვალიფიკაცია გახადოს სადაო.¹⁶ სხვა შემთხვევაში, შესაძლოა დაცვის მხარე იყოს აქტიური და სურდეს დამოუკიდებლად ჩაატაროს გამოძიება, რაშიც კანონმდებელმა მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპის თანახმად, გამოძიების ეტაპზე, უნდა მიანიჭოს შესაბამისი საკანონმდებლო ბერკეტები, რომ სრულყოფილად შეძლოს თავის დაცვა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებიდან დღემდე დაიხვეწა და უფრო განმტკიცდა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი, რაც, რა თქმა უნდა მისასაღმებელია, კერძოდ, დაცვის მხარეს მიენიჭა უფლება სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით და განჩინების საფუძველზე ჩაატაროს ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, როგორცაა ჩხრეკა და ამოღება, კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვა.

2.1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივრის შეტანა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში, ამ კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი შესვლიდან 3 დღე-ღამის ვადაში. სასამართლო უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

¹⁶ ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი გვ. 102-104

საჩივრის დაკმაყოფილება არის ამ პირის მიმართ აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, რომელიც მოპოვებული ქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.¹⁷ ვფიქრობ, მოცემული მუხლის ანალიზი მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც კანონმდებელი სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას უკავშირებს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის ამოქმედებას. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გამოძიების გაჭიანურება და შემდგომ ეტაპზე პირისთვის ბრალის წაყენება, როცა უკვე გამოძიებას დასრულებული აქვს საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება და დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იკვეთება რომელიმე პირის ბრალეულობა, ბრალდებულს ართმევს უფლებას დროულად ისარგებლოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებებით, ასევე, ართმევს უფლებას დროულად დაიწყოს თავისი მამხილებელი მტკიცებულებების შეკრება. მსგავს შემთხვევაში, მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა ირღვევა, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად, რაც უფრო ადრე იქნება იგი ინფორმირებული, მით უფრო მალე შეძლებს შესაბამისი რეაგირების მოხდენას. დაუშვებელია როდესაც არსებობს პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი, მაგრამ მას მინიჭებული აქვს მონმის სტატუსი და სისხლის სამართლის საქმეზე ტარდება საგამოძიებო მოქმედებები. ამ შემთხვევაში პირს, რომელიც ბრალდებულად უნდა იქნეს ცნობილი, მაგრამ დროულად, სწრაფად არ მიენიჭება ეს სტატუსი, ეზღუდება საკუთარი ინიციატივით არა მხოლოდ მტკიცებულებების მოპოვების უფლება, არამედ საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულისთვის მინიჭებული ყველა სხვა, მათ შორის დაცვის უფლება¹⁸. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდებულის სტატუსის მინიჭების საკითხი თავად უნდა გადაწყვიტოს საკუთარი შეფასებით, მიუხედავად იმისა, როგორ არის ეს მოწესრიგებული ქვეყნის კანონმდებლობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოებს ექნებოდათ სამართალწარმოების ხანგრძლივობის მანიპულირების შესაძლებლობა იმის უზრუნველყოფით, რომ ბრალდების წარდგენა მომხდარიყო სამართალწარმოების გვიანდელ ეტაპზე, მათ შორის გამოძიების დასრულების შემდეგ. რაც შელახავდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასა და გავლენას მოახდენდა მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე. ამ ვითარებიდან ყველაზე ნათელი გამოსავალი ბრალდების წარდგენის ავტონომიური

¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლი.

¹⁸ ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართული სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე) 2014 წელი, გვ. 118.

ცნების შემუშავებაა, რაც უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას ევროპული კონვენციის წევრი ქვეყნების მასშტაბით.¹⁹

საქმეში ქიომე და სხვები ბელგიის წინააღმდეგ (Coeme and others v. Belgium) „ბრალდება“ წარდგენილად ჩაითვალა განმცხადებლის ბინისა და ოფისის ჩხრეკის დღიდან.²⁰ სხვა საქმეში დევეერი ბელგიის წინააღმდეგ (Deweere v. Belgium) განმცხადებელს დაუღუქეს მალაზია, რაც სასამართლომ შეათვალა სისხლისსამართლებრივ ბრალდებად, რადგან ამ სიტუაციამ არსებითი ზემოქმედება მოახდინა ეჭვმიტანილზე.²¹

ევროპული კანონმდებლობისგან განსხვავებით საქართველოს სსკ-ით ბრალდებულის ცნება განსხვავებულადაა მოწესრიგებული თუმცა, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ბრალდებულს ამ ეტაპიდან უკვე წარმოეშობა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებები. მათ შორის უფლება: ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. შესაძლებლობები მოიცავს ბრალდებულის შესაძლებლობას, გაეცნოს, დაცვის მომზადებისთვის, სამართალწარმოების პროცესში ჩატარებული გამოძიების შედეგებს.²² ბრალდებულისათვის მნიშვნელოვანია, რომ მას მიეცეს საკმარისი შესაძლებლობა და დრო გავლენა მოახდინოს თავისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე. საქმისწარმოების გვიანდელ ეტაპზე ბრალდების წაყენება კი, უარყოფით გავლენას ახდენს მისი უფლებების რეალიზაციაზე. დაკავების ან ბრალდების ოფიციალური წარდგენის გარდა, ევროპული სასამართლოს ბრალდების წაყენებად მიიჩნევა ისეთ სიტუაციას, როდესაც პირისათვის ამა თუ იმ ფორმით ცნობილი ხდება მის მიმართ გამოძიების დაწყების შესახებ და სახელმწიფო ორგანოთა მოქმედებები ზემოქმედებას ახდენს პირზე.²³

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურების სამართლებრივი შედეგია ის რომ პირს უფლება აქვს პროკურორის გადანაცვეტილება, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, გაასაჩივროს და საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოხდეს ბრალდებას თანდაკავშირებით ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი და მიუხედავად ამისა, არ მოხდა მისთვის ბრალის წაყენება.

¹⁹ შ. ტრეესელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართალში, თბილისი 2009 წელი, ტომი 2., გვ. 162

²⁰ Coeme and others v. Belgium, N 32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96, 33210/96, ECHR, 2000 წლის 18 ოქტომბერი, §133.

²¹ Deweer v. Belgium, N 6903/75, ECHR, 1980 წლის 27 თებერვალი, პარაგრაფი 46.

²² შ. ტრეესელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2010 წელი, გვ 114. აგრეთვე, Fitt vs the U.K. N 29777/69, 2000 წლის 16 თებერვალი, § 46-50.

²³ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, INTERRIGHTS, თბილისი, 2008 წელი, გვ.127

აღნიშნული გარანტია, ერთის მხრივ, იცავს პირის ინტერესებს, რომ მისი საქმის დროული გამოძიება მოხდეს და მასაც ჰქონდეს საკმარისი დროს და საშუალება დაცვის მოსამზადებლად და მეორეს მხრივ, სამართალდამცავ ორგანოებს, კანონმდებელი არ აძლევს საშუალებას დაუსაბუთებლად გააჭიანურონ გამოძიება.

ამ მუხლის ანალიზისას ასევე მოპოვებულ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია, თუ რამდენჯერ იქნა მიმართული სასამართლოსთვის საჩივრით და რა სამართლებრივი შედეგი იქნა მიღწეული. კერძოდ, 2015 წლიდან დღემდე, სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურებასთან დაკავშირებით, საჩივრით მიმართული იქნა 11-ჯერ, რაც არ დაკმაყოფილდა.²⁴ აღნიშნული სტატისტიკის ანალიზიც ხაზგასმით, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, არ ხდება სასამართლოსთვის ხშირი მიმართვა, რაც შესაძლოა გამომდინარე იქიდან, გაჭიანურდა თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე ინფორმალურად. სტატისტიკური მაჩვენებლით ასევე ისიც დგინდება, რომ მიმართვის შემთხვევაშიც არ მომხდარა არც ერთი საჩივრის დაკმაყოფილება. სამწუხაროდ ვერ მოხდა საჩივრებში დასმული საკითხების და გარემოებების გარკვევა, თუ რა მოტივით არ დაკმაყოფილდა საჩივრები, თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა საქმის სირთულემ და მოცულობამ განაპირობოს გამოძიების ხანგრძლივობა, რაც რა თქმა უნდა ვერ ჩაითვლება სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურებად. გაჭიანურდა თუ არა დევნა დამოკიდებულია მრავალ ურთიერთდაკავშირებულ მოცემულობებზე. ამ სახის გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სისხლის სამართლის საქმის სირთულე და მისი გამოძიების თავისებურებანი. როდესაც ხდება რამდენიმე ასეული მონმის დაკითხვა, ასევე, უამრავი ვიდეო ჩანაწერების დათვალიერება, გარკვეული დროის გასვლა, თუნდაც 1-2 წლის ბუნებრივად გამოიყურება, რადგან ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, საქმეში არსებულ მასალებს სჭირდება შესაბამისი შეფასება და დასკვნის ჩამოყალიბება²⁵.

ცხადია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა ერთის მხრივ წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას დაცვის მხარისთვის და მისი დარღვევა მნიშვნელოვნად განაპირობებს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევას, მეორეს მხრივ გამოძიებას საქმის სირთულიდან გამომდინარე შესაძლოა ჰქონდეს სათანადო გამართლება და დევნის გაჭიანურებას არ ჰქონდეს ადგილი. საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად.

²⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის მიმართვის წერილი, სარეგისტრაციო N18494. თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი N1-04203/18494

²⁵ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 06 ოქტომბრის N1გ//1563. განჩინება.

თავი III. მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი ცალკეულის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას

3.1. კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვა

საქართველოს სსსკ-ის მიხედვით, გამოძიების ეტაპზე, მხარეები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ თუ რა საგამოძიებო მოქმედებები უნდა ჩაატარონ და რა სახის მტკიცებულებები უნდა მოიპოვონ.²⁶ ტექნიკის განვითარებასთან ერთად, დღეისათვის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია შესაძლოა ინახებოდეს კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში და მოცემული იყოს ელექტრონულად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში ინახება სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. თბილისის სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ „დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა არის უშუალოდ იმ ინფორმაციის ან დოკუმენტის მოპოვება სისხლის სამართლის საქმის მიზნებისათვის, რომელიც დაცულია კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში. ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვისგან განსხვავებით, პერსონალურ კომპიუტერში არსებული ფაილების დათვალიერებას და ამ დროს განხორციელებულ ფოტოგადაღებას აქვს მხოლოდ ინფორმაციული დატვირთვა, რომ ამა თუ იმ კომპიუტერში დაცულია ეს ინფორმაცია. თუმცა, გამოთხოვისგან განსხვავებით, დათვალიერებისას ამ დაცული ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოპოვება და საქმეზე დამაგრება არ ხდება.“ ასეთი გზით მოპოვებულ ინფორმაციას ვერ ექნება უტყუარობაზე პრეტენზია, თუ არ იქნება მოპოვებული ამ ინფორმაციის პირველწყარო.²⁷

მხარეებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები. როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარე საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ ამ კოდექსით დადგენილი წესით დადადგენილ ფარგლებში. ზემოთ დასახელებული მუხლი, იმავე კოდექსის 39-ე და 111-ე მუხლებისგან განსხვავებულ წესებს ითვალისწინებს და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე შუამდგომლობით

²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლი

²⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს N1გ/133-18 2018 წლის 02 თებერვლის განჩინება

სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვარის № 1/1/650,699 გადაწყვეტილებამდე, ექსკლუზიურად მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებდა.²⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე ნაწილის თანახმად, კომპიუტერული სისტემა – ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მონაცემილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი). XXI საუკუნეში ინფორმაციის მეტი ნაწილი, სწორედ კომპიუტერულ სისტემაში ინახება და რა თქმა უნდა, პრაქტიკაში, ამ მუხლის გამოყენებას გამოძიებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც აღინიშნა, 2017 წლის 27 იანვარამდე, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით სარგებლობა მხოლოდ ბრალდების მხარეს შეეძლო, რაც დაცვის მხარეს შესაძლებლობას არ აძლევდა მოეპოვებინა ის ინფორმაცია, რაც შენახულია კომპიუტერულ სისტემაში.²⁹ მაგალითად, რაიმე დოკუმენტი, რომელიც შენახულია პერსონალურ კომპიუტერში ან შესაძლოა ეს იყოს ვიდეო-ფაილი. მსგავსი შემთხვევა აღრმავებდა მხარეთა უთანასწორობას და სისხლის სამართლის პროცეს არსებითად უსამართლოს ხდიდა. დღეის მდგომარეობით, ამ კუთხით მხარეთა უთანასწორობა დაბალანსირებულია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვარის გადაწყვეტილებით საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას, არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან და 42-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებთან მიმართებით (დღევანდელი რედაქციით 31-ე მუხლი) „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ; ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს; დაცვის უფლება გარანტირებულია.

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვარის გადაწყვეტილება №1/1/650,699, საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები: ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 136-ე მუხლი, 2016 წლის 22 დეკემბრის მდგომარეობით

შეჯიბრებითობა უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას. მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები; უფლებას, გამოიკვლიოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე იმის და მიუხედავად, აღნიშნული ეხება ფაქტების დადგენას, სამართლებრივ არგუმენტს, საქმის არსებით გარემოებებს, თუ პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს. შესაბამისად, შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცვის მხარეს გააჩნდეს ბრალდების არგუმენტების გაქარწყლების ადეკვატური და რეალური შესაძლებლობა, რაც პირველ რიგში გულისხმობს როგორც უფლებას, ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა-გაბათილებაზე, ასევე, ამავე მიზნით უფლებას, მტკიცებულების მოპოვებაზე³⁰.

კომპიუტერული მონაცემების მოპოვება და საპროცესო დამაგრებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ორივე მხარეს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა კანონის შესაბამისად მოიპოვონ და წარადგინონ მტკიცებულებები. საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილებით, ორივე მხარეს მიეცა თანაბარი შესაძლებლობა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოითხოვონ კომპიუტერულ სისტემაში არსებული მონაცემები. კანონმდებლის მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 143³ მუხლის მე-2 ნაწილით მონესრიგებულია ის საკითხი თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი კომპიუტერული მონაცემის მოპოვება. თუ სსსკ-ის 136-ე მუხლის შინაარსი პირდაპირ უთითებს საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად დასაბუთებული ვარაუდის საკმარისობაზე, უშუალოდ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად ეს საკმარისი არ არის და აუცილებელია სახეზე იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში დემოკრატიული მიზნების მისაღწევა-ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და ა.შ.³¹ სსსკ-ის 143³ მუხლში, როგორც სახელდებითაა მოხსენიებული მუხლები, ასევე მითითებულია დანაშაულთა კატეგორიები, რაშიც ვერ ხვდება განზრახი ნაკლებად მძიმე განზრახი დანაშაულები, ასევე მაგ. საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც მხარეებს უზღუდავს უფლებას ამ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს კომპიუტერული მონაცემის გამოთხოვასთან დაკავშირებით. შესაძლოა პირს ჩადენილი ჰქონდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან შინაპატიმრობას ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთიდან სამწლამდე და იმავე კოდექსის მე-12

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვარის N1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები - ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1/1/650,699, §7.

³¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს N1გ/752-19 2019 წლის 17 მაისის განჩინება.

მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას, რის გამოც ვერ ხვდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 143³ მუხლის მე-2 ნაწილის რეგულაციაში. აღნიშნული შეზღუდვა კანონმდებლის მიერ დაწესებული იქნა პირადი ცხოვრების და პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის მაღალი სტანდარტების დაწესების პარალელურად.³² იქვე სასამართლო მსჯელობს, რომ გვერდს ვერ აუვლის გამოძიების ინტერესებს და იმ გარემოებას, რომ ამ კატეგორიის საქმეების გამოძიების დროს ვიდეოსათვალთვალო კამერების ჩანაწერები შეიძლება შეიცავდნენ გამოძიებისათვის საინტერესო ინფორმაციებს. შესაბამისად, რამენაირად უნდა მოხდეს გამოძიებისათვის ამ ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც შეიძლება გამოიხატოს ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმის შედგენაში, რა თქმა უნდა იმ პირობებში თუ ამგვარი საგამოძიებო მოქმედება არ დაემსგავსება ინფორმაციის გამოთხოვას. მოცემული შეზღუდვა როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეს ართმევს შესაძლებლობას ამ კატეგორიის დანაშაულებრივი ფაქტის შემთხვევაში მოიპოვონ ვიდეო ჩანაწერი, რომელსაც შესაძლოა დაფიქსირებული ჰქონდეს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მონაცემი ან საერთოდ ამართლებდეს პირს დანაშაულის ჩადენაში. ამ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ არსებული შეზღუდვა ემსახურება მესამე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვას, თუმცა როგორ უნდა მოიქცეს მხარე რომელმაც იცის, რომ ვიდეო კამერას დაფიქსირებული აქვს კონკრეტული კადრები, მაგრამ ვერ ახერხებს მის სათანადო წესით მოპოვებას და დამაგრებას? აღნიშნულთან დაკავშირებით კანონმდებლობა რაიმე გამონაკლის არ ითვალისწინებს. პერსონალური მონაცემების დაცვასა და გამოძიების ინტერესების შეპირისპირების დროს აუცილებელია კანონმდებლის მიერ მოხდეს ამ საკითხის გადახედვა, რადგან თუ კი ვიდეოკამერის ჩანაწერში მართლაც დაფიქსირებულია დანაშაულებრივი ფაქტი და მხოლოდ იმის გამო ვერ ხდება ამ კამერის გამოთხოვა, რომ ის არა მოხსენიებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების მუხლებში, არაა მართებული რადგან ფაქტობრივად დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ვერ შეგროვდება მტკიცებულებითი სტანდარტი ან პირიქით დაცვის მხარეს არ ექნება შესაძლებლობა გამოითხოვოს ისეთი ვიდეო - ჩანაწერი ან სხვაგვარი კომპიუტერული მონაცემი, რომელიც ადასტურებს, რომ ბრალად შერაცხული ქმედების დროს საერთოდ არ იმყოფებოდა ბრალდების ფორმულირებაში დასახელებულ ტერიტორიაზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიხედვით, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია.³³ თანასწორობის კონსტიტუციური უფლების დარღვევად უნდა შევაფასოთ კოდექსში არსებული ჩანაწერი და ნორმების ამგვარი ჩამონათვალი, რადგან როდესაც ცალკეულ დანაშაულებზე სახელმწიფო ნებას გვრთავს მოვიპოვოთ კომპიუტერული მონაცემი და ჩავატაროთ სრულყოფილი გამოძიება, რითაც მარტივდება დამნაშავის გამოვლენა და მის მიმართ უტყუარი და

³² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 04 ოქტომბრის N1გ/1537-16 გადაწყვეტილება.

³³ საქართველოს კონსტიტუცია 11-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

რელევანტური მტკიცებულებების მოძიება ნაკლებ დროსა და დანახარჯშია შესაძლებელი, ეს ქმნის განსხვავებას იმ დანაშაულებზე ჩატარებულ და ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებებთან და შემდეგ მათ სასამართლოში წარდგენასთან, რომელთა გამოძიების დროსაც არ არის შესაძლებელი ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, კერძოდ, ინფორმაციის გამოთხოვა. შესაბამისად, როგორც დაცვის ასევე, ბრალდების მხარესაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ მოიპოვონ კომპიუტერული მონაცემებიც და ეს არ იყოს დამოკიდებული დანაშაულის სიმძიმეზე, არამედ, ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, რომ მიმართოს სასამართლოს დასაბუთებელი შუამდგომლობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა უნდა გავრცელდეს მხოლოდ კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულაციაზე და არა სხვა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე.

კომპიუტერული ტექნოლოგიის უპრეცედენტო სისწრაფით განვითარება ნებისმიერი ტიპის (წერილობითი დოკუმენტაცია, ვიდეო ან აუდიოჩანაწერი თუ ფოტომასალა, საჯარო თუ დაცული/კონფიდენციალური ან/და საიდუმლო ინფორმაცია) ინფორმაციის ელექტრონული დაარქივების საშუალებას იძლევა პორტატული სახით. საჯარო დანესებულებები, კერძო ორგანიზაციები და ფიზიკური პირები მონაცემის შენახვა-დაარქივების პროცესში, სულ უფრო ფართოდ იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. მართალია დღეის ვითარებით, ამ კუთხით მხარეთა თანასწორობა დაცულია, თუმცა ორივე მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რათა ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში, სათანადოდ დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე მოიპოვონ კომპიუტერულ სიტემაში დაცული მტკიცებულებები, რადგან გამოძიების საჯარო ინტერესები შეიძლება შეიზღუდოს დანაშაულის კატეგორიის გამო, დაზარალებულის თანხმობითაც კი, მხოლოდ ის რომ ჩანდეს ვიდეო-ჩანაწერში შეუძლებელია, ამ ჩანაწერის კანონიერად მოპოვება და დამაგერბა სისხლის სამართლის საქმეზე. პერსონალური მონაცემის განმარტება მოცემულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში“, რომლის მიხედვით, ეს არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. დაცულ სფეროში ჩარევა გამართლებულია დაცულ სფეროში ჩარევა გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობი, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.³⁴ ამ მხრივ საინტერესოა ერთ - ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება, სადაც ის აღნიშნავს, რომ „გარესამეთვალყურეო

³⁴ ავტ. კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი გამომცემლობა შპს „პეტეტი“, თბილისი, 2013. გვ. 510

კამერები აფიქსირებენ მათ მიმდებარედ ზოგად ვითარებას და არ უთვალთვალებენ კონკრეტულ ადამიანს, მათი ინტერესი და ფოკუსი არ არის კონკრეტული ადამიანი. შესაბამისად მათი ჩანაწერები შედარებით დაბალი ხარისხით ზღუდავენ ადამიანის პირად თავისუფლებებს.³⁵ შესაბამისად, არსებობს შემთხვევები, როდესაც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევა არ არის იმ ხარისხის, რომ აღემატებოდეს დანაშაულის გახსნის და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ინტერესს.

3.2 გამოძიების ეტაპზე მონმის დაკითხვა მხარეთა მიერ

1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მონმის დაკითხვა ტარდებოდა გამოძიების ეტაპზე და საგამოძიებო ორგანოში გამოცხადება სავალდებულო იყო. დღეს მოქმედი საქართველოს სსკ-ს 113-ე მუხლის მიხედვით, გამოკითხვა ნებაყოფლობითია და მონმე არაა ვალდებული მისცეს ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოს. ასევე, 2015 წლის 18 დეკემბრის კანონით, ამოქმედებული იქნა გამოძიების ეტაპზე მონმის დაკითხვის ახალი წესი, რომლის თანახმად, გამოსაკითხი პირი შესაძლოა მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე დაიკითხოს, რა დროსაც უკვე ჩვენების მიცემა სავალდებულოა. აღნიშნული წესი რამდენჯერმე გადავადდა და დღეის მდგომარეობით დაკითხვის ძველი რეგულაცია, ანუ მონმის დაკითხვა გამოძიების ეტაპზე მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე – 323 (სეკუნდა) და 325-ე – 329-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიების დროს. მითითებული მუხლები მიეკუთვნება საზოგადოებისთვის მაღალი საშიშროების შემცველ დანაშაულებს და მოთავსებულია საქართველოს სსკ-ის ტერორიზმის თავში. ამ დანაშაულების გამოძიებისას მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების ეფექტური, ოპერატიული მოშაობა და მონმეთა სწრაფი დაკითხვა, რის გამოც, გადავადება მიზანშეწონილია საჯარო ინტერესიდან გამომდინარე.

საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლისპირველი ნაწილით მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხული იქნეს მხარეთა მიერ. დაუშვებელია, გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია. მონმის ურთიერთობას საგამოძიებო ორგანოებთან, ჩვეულებრივ, ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს და პირს აქვს თავისუფალი არჩევნის უფლება, მისცეს ან არ მისცეს ინფორმაცია გამომძიებელს ან დაცვის მხარის წარმომადგენელს, თუ მას ეს არ სურს. ეს სტანდარტი ფუძემდებლური სტანდარტია ყველა სამართლებრივ

³⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს N1გ/752-19 2019 წლის 17 მაისის განჩინება.

სახელმწიფოში.³⁶ როგორც ბრალდების ასევე, დაცვის მხარე თანაბრად უფლებამოსილი ჩაატაროს დასახელებული საგამოძიებო მოქმედება. გამოკითხვისას პირი სარგებლობს მთელი რიგი უფლებებით და ორივე მხარე ვალდებულია სრულად დაიცვას კანონმდებლობის მოთხოვნები გამოკითხვის ჩატარებისას. კანონმდებელი სავალდებულოდ ითხოვს გამოკითხვის წარმოებისას ოქმის შედგენას და მას არსებით მნიშვნელობას ანიჭებს (საქართველოს სსსკ-ის 75-მუხლის მე-3 ნაწილი, 113-ე მუხლი, 135-ე მუხლის პირველი ნაწილი). გამოკითხვის ოქმს გარკვეული წინაპირობების არსებობის დროს მტკიცებულებითი ძალა აქვს. მას შეუძლია გავლენა მოახდინოს მონმზე, როგორც სუბიექტური მტკიცებულების დასაშვებობაზე.³⁷

საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლი ითვალისწინებს, მხარეთა მიერ, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მონმედ დაკითხვის წესს, რომელიც შეიძლება დაიწყოს ორ ნაწილად, კერძოდ, გამოსაკითხი პირის მონმედ დაკითხვა როდესაც: ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მონმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს; ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს; გ) არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს; დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. მეორე შემთხვევა ეხება ისეთ სიტუაციას, როდესაც გამოსაკითხი პირი უარს აცხადებს გამოძიებისათვის ნებაყოფლობით ინფორმაციის მიწოდებაზე, იმავდროულად უნდა არსებობდეს ფაქტი ან ინფორმაცია, რომელიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ გამოსაკითხმა პირმა მართლაც იცის რაიმე ინფორმაცია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის შესახებ.

გამოძიების ეტაპზე დაკითხვის ამ წესის ამოქმედება მისასაღმებელია, მოხდა დაკითხვის მექანიზმის დახვეწა, არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და უზრუნველყოფს გამოსაკითხი პირის უფლებების დაცვას. გამომდინარე იქიდან, რომ გამოსაკითხ პირს სრული უფლება აქვს, არ მიანოდოს ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოს და დაცული იყოს რაიმე სახის შესაძლო გენოლისგან გამომძიებლის ან პოლიციის სხვა თანამშრომლისმხრიდან. დაკითხვის ძველი წესი ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლო პროცესის პრინციპს. დაკითხვა არის გაუმჭვირვალე და არაფინ იცის, რეალურად რა ხდება დახურულკარს მიღმა. რაც შეეხება, მონმის დაკითხვას მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, ამ დროს უზრუნველყოფილია ჩვენების მეტ სანდობაა. მოსამართლე მონმედ დასაკით პირს განუმარტავს მონმის უფლება-მოვალეობებს, აფრთხილებს ცრუ-ჩვენების მოწოდებისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ და ასევე, განუმარტავს

³⁶ იხ. Jonh Murray v. The united kingdom, N 18731/91, 1996 წლის 8 თებერვალი, §45

³⁷ თ. ლალიაშვილი, „გამოძიების პროცესში პირის მონმის სახით დაკითხვის პრობლემატური მხარეები და მისი სამართლებრივი შედეგები“, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, გვ174

საქართველოს სსსკ-ით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობებს. მოქმედი კანონმდებლობით, პირი მონმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. მსგავსი სახით მონმის დაკითხვის დროს მოსამართლე უზრუნველყოფს, რომ მხარეების მიერ არ მოხდეს რაიმე სახით ზენოლა მონმზე და მან თავისუფლად ისაუბროს საქმის გარემოებების შესახებ. გამოძიებისას მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე მონმის დაკითხვა დახურულ სასამართლო სხდომაზე მიმდინარეობს და მასზე საქართველოს სსსკ-ის დადგენილი ზოგადი წესები ვრცელდება.³⁸

რაც შეეხება, პირის მონმედ დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებას, მაგისტრეტი მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობის მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ეს ვადა დაკითხვის ინიციატორი მხარესთან შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს, თუ მონმე დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სასამართლოში. დაუშვებელია მონმის ღამით დაკითხვა. ამასთან, მხარეს მინიჭებული აქვს უფლება, რომ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებოკოლეგიაში, რომელიც შეტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა განიხილავს და ასევე, 24 საათში უნდა მოხდეს პირის მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე დაკითხვა, მას შემდეგ, რაც განჩინება გადაეცემა ისევ მაგისტრეტ მოსამართლეს.

სასამართლოში დაკითხვა მხარეთა მონაწილეობით მიმდინარეობს თუ პირის მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე მონმის დაკითხვა ტარდება საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. რაც შეეხება წესებს, რითაც უნდა იხელმძღვანელონ მხარეებმა, კანონმდებელი დათქმას აკეთებს, რომ ამ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სსსკ-ის 115-ე მუხლით დადგენილი წესი. ესე იგი, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია როგორც პირდაპირი წესით დაკითხვა, ასევე მეორე მხარე უფლებამოსილია აწარმოოს ჯვარედინი დაკითხვა. დაკითხვის ინიციატორი მოკლებულია შესაძლებლობას მონმეს დაუსვას მიმანიშნებელი შეკითხვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია დააყენოს შუამდგომლობა და მოითხოვოს ასეთი კითხვის განრიდება ან ასეთ კითხვაზე გაცემული პასუხისა და თავად კითხვის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა. მსგავსი წესით დაკითხული მონმე საქმის არსებით განხილვაზე ისევ ამგვარად უნდა დაიკითხოს, რადგან კანონმდებლობით სხვა რაიმე დათქმა არაა გაკეთებული საპროცესო კოდექსში. მაშასადამე, მონმე, რომელიც მხარეთა მიერ დაიკითხა, როგორც პირდაპირ, ასევე ჯვარედინად ხელმეორედ იკითხება იგივე წესით, ამჯერად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს.

³⁸ განმარტებითი ბარათი, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/103905>

გამონაკლისები ღია სასამართლო სხდომაზე განხილვაზე მტკიცებულებების წარმოდგენის წესიდან მისაღებია მხოლოდ ერთი პირობით, რომ ადგილი ჰქონდეს დაცვასთან დაპირისპირებას. სხვა სიტყვებით, მონმეთა დაკითხვის უფლება დაცვის მხარეს, ასევე შეიძლება მიეცეს პოლიციის ან წინასწარი გამოძიების დროს. თუ ეს განხორციელდა, მაშინ აღარ არსებობს სასამართლოს წინაშე დაკითხვის გამეორების აუცილებლობა. დაცვის უფლებები შეზღუდულია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამო დონით, თუ მსჯავრდება მთლიანად ან გადამწყვეტი ხარისხით ეფუძნება ემყარება იმ მონმეთა ჩვენებებს, რომელთა პირადად ან სხვისი მეშვეობით დაკითხვის შესაძლებლობა ბრალდებულს არ მიეცა გამოძიების ან სასამართლო განხილვის ეტაპზე.³⁹ ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლით დადგენილი სტანდარტია, რომ დაცვის მხარეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს იმ მოსამართლის წინაშე ბრალდების მონმეთის კითხვების დასმის საშუალება, რომელმაც საქმეზე საბოლოო გადამწყვეტილება უნდა მიიღოს. ჩვეულებრივ, ჩვენების შემონმება უნდა მოხდეს სასამართლო განხილვის დროს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტია და უშუალოდ პრინციპის საფუძველს წარმოადგენს.

რაც შეეხება, ასეთი მტკიცებულების გამოყენებას საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მონმის ჩვენება, რომელიც ვერ გამოცხადდა სასამართლოში საქმის არსებით განხილვაზე, დასაშვებია მის მიერ მონოღებული ინფორმაციის წაკითხვა, თუ მონმე გარდაიცვალა, საქართველოში არ იმყოფება, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან ამონურულია სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა და გამოკითხვა/დაკითხვა ამ კოდექსით დადგენილი წესით ჩატარდა. თუმცა, ვინაიდან მხარეს უფლება აქვს შეამონმოს მონმის ჩვენება ჯვარედინი დაკითხვით და ეჭვქვეშ დააყენოს მის მიერ მონოღებული ინფორმაცია, კანონმდებელს მიერ გათვალისწინებულია, რომ მხოლოდ აღნიშნული ჩვენება ვერ დაედება საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს. მომდევნო სტადიაზე დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს ამგვარი მონმის ჩვენების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნის და მისი სრულად დაკითხვის საშუალება.⁴⁰ აღნიშნული მნიშვნელოვანი გარანტიაა დაცვის მხარისთვის. ასევე, ეს წესი მოქმედებს მაშინ როდესაც, მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე მონმის დაკითხვის შემთხვევაში, დაკითხვის ინიციატორი მხარე მოითხოვს, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე ან/და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, მეორე მხარეს შეეზღუდოს დაკითხვაზე დასწრების უფლება.

მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე დაკითხვა სავალდებულოა. დაკითხვაზე დაბარებულ პირს აღარ აქვს უფლება უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე.

³⁹ შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2010 წელი, გვ 347

⁴⁰ მირილაშვილი რუსეთის წინააღმდეგ (Mirilashvili v. Russia), N6293/04, 2008 წლის 11 დეკემბერი, § 203-209.

წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. აქვე უნდა აღინიშნოს, ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სტანდარტზე. საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის კანონმდებლის მიერ დაწესებულია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რაც გულისხმობს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. ხოლო, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვის დროს, როდესაც ის უარს ეუბნება საქმის მწარმოებელ ორგანოს, მოქმედებს უფრო დაბალი სტანდარტი. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 114-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარის შუამდგომლობით, გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი, და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. მოცემულ შემთხვევაში კანონდამებელი აღარ საუბრობს ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობაზე არამედ მიუთითებს მხოლოდ ფაქტზე ან/და ინფორმაციაზე რაც დააკმაყოფილებს ობიექტურ პირს, რომ ეს ადამიანი წამდვილად ფლობს გამოძიებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

3.2.1 ბრალდების მხარის მიერ მოწმის დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე

მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვის ახალი წესი ბრალდების მხარეს, დაცვის მხარესთან შედარებით ანიჭებს უპირატესობას, რითაც მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი ირღვევა. საქართველოს სსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი და ეს პირი

გამოკითხვაზე უარს ამბობს. მოცემული მუხლი, ბრალდების მხარე საძლევს შესაძლებლობას, რომ თუ გამოსაკითხი პირი უარს ეუბნება ინფორმაციის ნებაყოფლობით მიწოდებაზე, განუმარტოს მას უფლება, რომ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში შესაძლოა ის დაბარებულ იქნეს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, სადაც ჩვენების მიცემა სავალდებულოა. ადვილი შესაძლებელია, რომ მონმე, რომელსაც შეუძლია მისცეს გამოძიებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, არაკეთილსინდისიერად არიდებდეს თავს გამოძიებას თანთანამშრომლობას. ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს მექანიზმი იმისა, რომ მას დაეკისროს ვალდებულება, მისცეს ჩვენება და ამით ხელი შეუწყოს დანაშაულის გახსნას, გამოძიებას და დანაშაულის სავარაუდო ჩამდენის მართლმსაჯულებისთვის წარდგენას.⁴¹

უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, მოხდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონდეს ფაქტობრივი გარემოებების შემჭიდროვებულ ვადებში დადგენა და თვითმხილველი პირებისგან ინფორმაციის სწრაფი მიღება. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვა ნებაყოფლობითია სამართალდამცავ ორგანოებს უნდა ჰქონდეს, ქმედითი მექანიზმი, რათა გამოსაკითხი პირის მიერ უარის შემთხვევაშიც, შეძლონ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა დანაშაულის წინააღმდეგ სათანადო რეაგირების მოხდენა და ეფექტური გამოძიების ჩატარება. ამასთან, რიგ შემთხვევებში, აუცილებელია მოხდეს მონმეთა დაუყოვნებლივი გამოკითხვა, რათა არ შეიქმნას პრობლემა დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნასთან დაკავშირებით.⁴²

3.2.2 დაცვის მხარის მიერ მონმის დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე

საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარის მსგავსად, დაცვის მხარეს უფლება აქვს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მონმედ დაკითხოს პირი იმ შემთხვევებში როცა: 1) არსებობს მონმედ დასაკითხი პირის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მონმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს; 2) მონმედ დასაკითხი პირი დიდი

⁴¹ განმარტებითი ბარათი, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/103905>.

⁴² სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათა შორის საკოორდინაციო საბჭოს მე-20 სხდომის ოქმი, 2015 წლის 31 ოქტომბერი.

ხნით ტოვებს საქართველოს; 3) არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს; 4) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. დასახელებული დებულებები, დაცვის მხარეს შესაძლებლობას აძლევს, რომ თავისი გამამართლებელი მტკიცებულებების მოსაპოვებლად მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხოს პირი ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში. შემდეგ კი, კანონმდებელი უფლებას ანიჭებს, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს გამოაქვეყნოს მოწმის დაკითხვის ოქმი თუ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხული მოწმე გარდაიცვალა, საქართველოში არ იმყოფება, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან ამონურულია სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა.

რაც შეეხება იმავე მუხლის მეორე ნაწილს, რომლის თანახმად, მხოლოდ ბრალდების მხარეა უფლებამოსილი, რომ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ დაკითხოს გამოსაკითხი პირი მისი უარის შემთხვევაში, არღვევს მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს, რადგან დაცვის მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, რომ ასეთ შემთხვევაში, მიმართოს სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით. შეჭიბრებითობის პრინციპზე აგებული სამართალწარმოებისთვის გამოძიების ეტაპზე მოწმის სახით დაკითხვის ინსტიტუტი ვერ აწესრიგებს იმ ხარვეზს, რომ მხოლოდ ბრალდების მხარეს აქვს უფლება, გამოძიების ეტაპზე მოიპოვოს მოწმის ჩვენება.⁴³ ბრალდების მხარის მიმართ, ამ შემთხვევაში არსებობს ეფექტური გამოძიების ჩატარების საჯარო ინტერესი და კანონმდებელი სწორედ ამიტომ ანიჭებს მას ამ უფლებას, რომ მიუხედავად გამოკითხვის ნებაყოფლობითობისა, მაინც მოხდეს პირის დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. დაცვის მხარე ამ შესაძლებლობას დაუსაბუთებლად მოკლებულია. გასათვალისწინებელია, რომ შეჭიბრებითი პროცესის პირობებში მტკიცებულებების სასამართლოში წარმოდგენასა და გამოკვლევაზე პასუხისმგებელი არიან თავად მხარეები.⁴⁴ მაგ. შესაძლოა იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც ბრალდების მხარის მიერ არაა საქმეში არსებული ყველა მოწმე გამოკითხული, ხოლო დაცვის მხარეს დარჩენილი გამოსაკითხი პირი/პირები არ აწვდის ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარე ფიქრობს ამ პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მისი პოზიციის დადასტურებისათვის მნიშვნელოვანი იქნება. მოწმეთა ჩვენების მნიშვნელობას აღნიშნავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, რომლის თანახმადაც, მოწმის ჩვენება შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთ-ერთი, ზოგჯერ კი, ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო.⁴⁵ მას უნდა ჰქონდეს

⁴³ სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მე-20 სხდომის ოქმი, 2015 წლის 31 ოქტომბერი.

⁴⁴ ავტორთა კოლექტივი, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2016 წელი, გვ. 13.

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწილი მე-2, პუნქტი 30

საშუალება გავლენა მოახდინოს საქმისწარმოებაზე; ჰქონდეს საკუთარი პოზიციის გასამყარებელი მტკიცებულებების იმ პირობებში მოპოვების და წარდგენის შესაძლებლობა, რომელიც არ აყენებს მას მონინაალმდევე მხარესთან შედარებით vis-à-vis არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში⁴⁶. მტკიცებულების მოპოვება მხარის უფლებაა და მისი გადასაწყვეტია, რომელ მტკიცებულებას მოიპოვებს და წარადგენს სასამართლოში. მეორე მხარეს არ აქვს უფლება საკუთარი პოზიციის დასაცავად მიუთითოს იმაზე, რომ მონინაალმდევე მხარემ არ მოიპოვა რომელიმე კონკრეტული სახის მტკიცებულება, თუ 1. აღნიშნული მტკიცებულების დამოუკიდებლად მოპოვების შესაძლებლობა და უფლება თავადაც გააჩნდა; 2. თუ აღნიშნული მტკიცებულების წარმოდგენის გარეშეც მონინაალმდევე მხარე საქართველოს სსსკ-ით დადგენილი სტანდარტით ადასტურებს საკუთარი პოზიციის სისწორეს.⁴⁷ მართალია, კანონმდებლობა ბრალდების მხარეს ანიჭებს ბრალდების მტკიცების ტვირთს და სწორედ ისაა ვალდებული, გონივრული ეჭვს მიღმა სტანდარტით ამტკიცოს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა. მიუხედავად ამისა, დაცვის მხარეს შესაძლოა ჰქონდეს კანონიერი ინტერესი, რომ თავადაც მოიპოვოს მტკიცებულება, კერძოდ, მიიღოს ინფორმაცია პოტენციური მონმესგან. ამ შესაძლებლობას კი, დღეს მოქმედი კანონმდებლობა ართმევს ბრალდებულსა და მის ადვოკატს. ამ დროს, დაცვის მხარეს მხოლოდ ის შანსი რჩება, რომ საგამოძიებო ორგანოს მიმართოს შუამდგომლობით, რათა მან გამოკითხოს კონკრეტული პირი/პირები და დაელოდოს მის რეაგირებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლისმე-2 ნაწილის თანახმად, გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. მიუხედავად ამ დებულებისა, გამომძიებელი იმავდროულად წარმოდგენს ბრალდების მხარეს და როგორც პრაქტიკაშიც დასტურდება და შემოთავს აღინიშნა, ძირითადად ორიენტირებულია ბრალდებულის მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვებაზე. გამომძიებისა და ბრალდების ფუნქციები ერთმანეთისგან გამოყოფილი უნდა იყოს, რაც გამომძიებელს მისცემდა შესაძლებლობას, საქმის გარემოებები გამოეკვლია მართლაცდა ყოველმხრივ, სრულყოფილად და ობიექტურად.⁴⁸ მითითებული გარემოების გათვალისწინებით, თეორიულად შეიძლება დავუშვათ ისეთი შემთხვევა, როდესაც მიუხედავად დაცვის მხარის მოთხოვნისა გამოკითხოს კონკრეტული პირი/პირები, ბრალდების ინტერესებიდან გამომდინარე გამომძიებელმა შეიძლება არ ჩაატაროს დამატებითი გამოკითხვა, რადგან მისი აზრით მას უკვე აქვს საკმარისი სტანდარტი და ვერც

⁴⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით) გამომცემლობა, ავტორთა კოლექტივი, „მერიდიანი“, 2015 წ. გვ. 87.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ ი. აქუბარდია, „მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში“, მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, გამ. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014, გვ. 130-146

ვერაგინ მოსთხოვს პასუხს, თუ რატომ არ გამოკითხა გამოძიებელმა დაცვის მხარის მიერ დასახელებული პირები. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა აღარ ავალდებულებს არც ბრალდების გამამართლებელი მტკიცებულების დ არც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების დადგენას, მის ფუნქციებში შედის მხოლოდ ბრალდების მტკიცებულებების მოპოვება.⁴⁹ გარდა მსგავსი საფრთხისა, თუკი კანონმდებელი დაცვის მხარეს საგამოძიებო მოქმედებების - ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების შესაძლებლობას აძლევს, ასევე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მიიღოს სათანადო ინფორმაცია მოწმეებისგან. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლისმე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად; ევროპული სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულის დაცვაზე მიმართული საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს, რაც კი „აუცილებელია“ იმისთვის, რომ პირი მზად იყოს მისი საქმის არსებითი განხილვისთვის.⁵⁰ რაც შეეხება აუცილებლობას, ვფიქრობ, ეს თავად ბრალდებულმა უნდა გადანყვიტოს საქმის ყველა გარემოებებიდან გამომდინარე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს ყველა საშუალება, რათა ორგანიზება გაუკეთოს თავის დაცვას შესაბამისი გზით ისე, რომ არ შეეზღუდოს შესაძლებლობა, სასამართლოს წარუდგინოს ყველა რელევანტური დაცვითი არგუმენტი და ამით იმოქმედოს სამართალწარმოების შედეგზე.⁵¹

საქართველოს სსკ-ის 114-ე მუხლი მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარე წარადგენს დასაბუთებულ შუამდგომლობას, კერძოდ, უნდა არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფაქტის ფაქტი, ეს პირი კი, გამოკითხვაზე უარს უნდა ამბობდეს. მიმაჩნია, რომ დაცვის მხარესაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ მსგავსი გარემოებების შემთხვევაში წარადგინოს სასამართლოში დასაბუთებული შუამდგომლობა და დაასაბუთოს თუ რა ფაქტი ან ინფორმაცია ადასტურებს, რომ მის მიერ დასახელებული პირი ფლობს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარემ ერთხელ უკვე სცადა ამ პირის ნებაყოფლობით გამოკითხვა, მან უარი განუცხადა ინფორმაციის მიწოდებაზე. ასეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში უნდა შეეძლოს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და დაასაბუთოს პირის მოწმის სახით დაკითხვის საჭიროება. თანასწორობის პრინციპი თავისი არსით მოითხოვს, რომ ყოველ მხარეს ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა

⁴⁹ მ. მამნიაშვილი, გამოძიების ორგანიზაციისა და გამომძიებლის სტატუსის სრულყოფისათვის, ქუთაისი, მეორე საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“, გამოცემა N 2, 2017 წელი.

⁵⁰ Vyerentsov v. Ukraine, N 20372/11, 2013 წლის 11 აპრილი, §75

⁵¹ Mayzit v. Russia, No. 63378/00, 2005 წლის 20 იანვარი, §78

წარმოადგინოს თავისი საქმე - თავისი სამხილებით, სრულიად თანაბარ პირობებში თავისი ოპონენტის პირისპირ.⁵²

3.3 დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის გამოკვლევა მხარეთა მიერ

როგორც წინა თავებში აღინიშნა, დაცვის მხარეს უფლებ აქვს, რომ ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები. საქართველოს სსსკ-ში მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის განმტკიცებისკენ გადადგმული ნაბიჯია 2013 წლის 14 ივნისს საქართველოს სსსკ-ის 111-ში შეტანილი ცვლილება, რომელიც დაცვის მხარეს, მოსამართლის ნებართვის საფუძველზე ძლევს საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების უფლებას. საქართველოს სსსკ-ის 111-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს. მაგ. თუ დაცვის მხარის ინიციატივით ტარდება საგამოძიებო მოქმედება - ჩრეკა ან ამოღება მას ატარებს საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელი პირის მიერ შერჩეული გამომძიებელი. იმავე კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგად ამოღებული ნივთის თუ ნივთიერების ბედი კი, შემდგენიარად წყდებოდა, მისი პირველადი გამოკვლევის უფლება ჰქონდა ბრალდების მხარეს, რაც არღვევდა მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს. საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ობიექტი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარის შუამდგომლობით მოხდა მისი მოპოვება, ვერ იქნება მიჩნეული ბრალდების ან დაცვის მხარის მტკიცებულებად. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტის ამოღება მოხდა დაცვის მხარის ინიციატივით, რადგან შესაძლოა ეს მტკიცებულება პირიქით დაცვის მხარისთვის საზიანო იყოს და ამხელდეს ბრალდებულს დანაშაულის ჩადენაში. ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის უფლება გასაჩივრებულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. 2018 წლის 14 დეკემბერის №1/4/809 გადაწყვეტილებით, საქმეზე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად გამოაცხადა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, საქართველოს სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი, თუმცა გადაწყვეტილებაში

⁵² სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, INTERRIGHTS, თბილისი, 2008 წელი, გვ. 86.

მიუთითა, რომ სადავო ნორმის პრობლემურობას, არა პირველადი გამოკვლევის ინსტიტუტი იწვევს, არამედ აღნიშნული პროცედურის განხორციელების ფარგლებში დაცვის მხარისათვის საკმარისი გარანტიების არარსებობა. რაშიც სასამართლო, როგორც გარკვეულ პროცედურებს, ასევე ვადებს გულისხმობს. დაცვის მხარესაც უნდა მიეცეს მოპოვებული მტკიცებულების სათანადო გამოკვლევის შესაძლებლობა. სადავო ნორმის დაუყოვნებლივ გაუქმებით კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოქმნის იმგვარ ვითარებას, რომ ბრალდების მხარეს არ მიენდოს პროცესისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მტკიცებულება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, „საქართველოს საკონსტიტუციოს სამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გადაავადოს ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება 2019 წლის 30 ივნისამდე, რათა მოპასუხეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წინამდებარე გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოიყვანოს სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა და უზრუნველყოს დაცვის მხარის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევა⁵³. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი ჯერ ამონურული არ არის. სასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული ნივთის თუ ნივთიერების პირველადი გამოკვლევის უფლება კი არ წარმოადგენს პრობლემას არამედ, ამ გამოკვლევის პროცედურების და ვადების განუსაზღვრელობა, რადგან კანონმდებელი არ აკონკრეტებს თუ რა ვადაში უნდა გამოიკვლიოს ბრალდების მხარემ დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნორმა ასევე პრობლემურია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამოღებული ობიექტი ვარგისია მხოლოდ ერთჯერადი გამოკვლევისათვის (გამოლევადია, ექვემდებარება განადგურებას). ასეთ პირობებში, პირველადი გამოკვლევის ფარგლებში ბრალდების მხარე უფლებამოსილია, ჩაატაროს ექსპერტიზა ან სხვა ღონისძიება, ხოლო დაცვის მხარეს ობიექტურად არ ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია იმ ობიექტიდან, რომელიც მისი შუამდგომლობით იქნა მოპოვებული და იძულებულია, დაეყრდნოს მონინაალმდევე მხარის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას. დაცვის მხარეს რეალურად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა სათანადოდ გამოიკვლის მის მიერ მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება ან მონაწილეობის მიიღოს მის გამოკვლევაში. სასამართლო მიუთითებს, რომ დაცვის მხარის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად, შესაძლოა მოპოვებულ იქნეს გამოძიებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მტკიცებულება, მართალია ამ დროს გასათვალისწინებელია გამოძიების სათანადოდ წარმოების ინტერესები, რომ მოხდეს ობიექტური გამოძიება

⁵³ იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბერის №1/4/809 გადაწყვეტილებით, საქმეზე ტიტკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პუნქტი 46.

და დანაშაულის ჩამდენმა პირმა თავი ვერ დააღწიოს მართლმსაჯულებას, თუმცა თუ მიუხედავად ამ გადანწყვეტილებისა, კანონმდებლის მიერ იმგვარად მოწესრიგდება ეს საკითხი, რომ მაინც ბრალდების მხარეს გადაეცემა ამოღებული ობიექტი და მხოლოდ გამოკვლევისათვის გარკვეული ვადა განისაზღვრება, არ იქნება საკმარისი რეგულაცია. დამატებითი გარანტიის სახით, ამ შემთხვევაში, იმისათვის, რომ ერთის მხრივ უზრუნველყოფილი იქნეს მტკიცებულებების მოპოვების და გამოძიების სათანადო ჩატარების საჯარო ინტერესი და მეორეს მხრივ უზრუნველყოფილი იყოს მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა, აუცილებელია, რომ გამოკვლევის პროცესში დაცვის მხარეს აქტიურად იყოს ჩართული. როგორც გადანწყვეტილებაშია განხილული, კანონმდებელი არ აკონკრეტებს თუ რას გულისხმობს პირველადი გამოკვლევის უფლებაში, რაც ამ ნორმას ბუნდოვნებას მატებდა. გამოკვლევაში შესაძლოა იგულისხმებოდეს, როგორც დათვალიერება, ასევე ექსპერტიზის ჩატარება. ასეთ ვითარებაში, დაცვის მხარეს, როგორც თანასწორს, თუ კი კანონმდებლის მიერ ეს საკითხი დარეგულირდება, უნდა შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს მის მიერ ამოღებული საგნის დათვალიერებაში, გამოთქვას შენიშვნა ან შეიტანოს შესწორება, დამატება. თუ გამოკვლევა მოითხოვს ექსპერტიზის დანიშვნას დაცვის მხარის შუამდგომლობით ამოღებულ ნივთზე, მაშინ ბრალდების მხარის მიერ უნდა იყოს სათანადოდ ინფორმირებული, ასევე უნდა შეეძლოს თავადაც მოიწვიოს ექსპერტი, რათა არ გაჩნდეს ეჭვი ბრალდების მხარის ობიექტურობაზე. აღნიშნული საკითხების გადანწყვეტა უზრუნველყოფს ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის უფლების სათანადო გამოყენებას და დაცული იქნება დაცვის მხარის ინტერესებიც.

ზემოაღნიშნული საკითხის დარეგულირებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის რამდენიმე წევრების მიერ შემუშავებული და ინიცირებული იქნა კანონპროექტი, რომლის თანახმად, საკანონმდებლო დონეზე განიმარტება თუ რას ნიშნავს პირველადი გამოკვლევა. ამასთან, საქართველოს სსსკ-ს უნდა დაემატოს 83-ე პრიმა მუხლი, რომელიც შეეხება დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული შესაძლო მტკიცებულების დაცვის მხარისთვის გადაცემა/გაცნობას. განსახვავებული რედაქციით ჩამოყალიბდება 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი და 144-ე მუხლის მე-3 პრიმა ნაწილის შემდეგ, დამატებული იქნება შემდეგი შინაარსის 3²-3⁵ ნაწილები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ მითითებული გადანწყვეტილების მიხედვით, ბუნდოვანი იყო თუ რას გულისხმობდა პირველადი გამოკვლევის უფლება, კანონპროექტის თანახმად, პირველადი გამოკვლევის უფლება გულისხმობს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველ რიგში ბრალდების მხარის მიერ დათვალიერებას, შინაარსის გაცნობას, ამ მასალაზე ექსპერტიზის ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, ვიდრე ანალოგიური

უფლებით ისარგებლებს დაცვის მხარე⁵⁴. მოცემული ცვლილების დამატება კოდექსში უზრუნველყოფს, იმ ბუნდოვნების აღმოფხვრას რასაც უთითებდა საკონსტიტუციო სასამართლო და მოხდება დაკონკრეტება თუ რა იგულისხმება პირველადი გამოკვლევის უფლებაში. რაც შეეხება პროცედურულ საკითხებს, კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, რომ დაცვის მხარეს უფლება ექნება შუამდგომლობით მიმართოს გამოძიების ადგილის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, როდესაც ბრალდების მხარე გააჭიანურებს დაცვის მხარისთვის პირველადი გამოკვლევის ფარგლებში ამორებული მტკიცებულებების გადაცემას/გაცნობას. ასევე, დარეგულირდება ისეთი შემთხვევები როდესაც მტკიცებულება ექსპერტიზის მხოლოდ ერთჯერადად ჩატარებას ექვემდებარება, კანონის პროექტის მიხედვით, დაცვის მხარეს უფლება აქვს წერილობითი შეკითხვები წარუდგინოს ექსპერტს, რომელიც ვალდებულია გასცეს პასუხი.⁵⁵ აღნიშნული გარანტია დაცვის მხარეს უფლებას მისცემს, რომ აქტიურად იყოს ჩართული მისი ინიციატივით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ამოღებული საგნის გამოკვლევაში და იყოს აქტიური ამ პროცესში, რაც მისასალმებელია.

3.4 მხარის მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის გადაცემა მეორე მხარისთვის

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაცვის მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას ჩაატაროს საქართველოს სსსკ-ით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები, მათ შორის ჩაატაროს შესაბამისი ექსპერტიზა თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს. იმ შემთხვევაში თუ საკვლევი ობიექტი ბრალდების მხარესთან ინახებადა ნებაყოფლობით გადაცემაზე უარს ეუბნება, დაცვის მხარეს კანონმდებელი ანიჭებს შესაძლებლობას, რომ მიმართოს სასამართლოს და მოიპოვოს საკვლევი ობიექტი. ექსპერტიზის ჩატარებისას ვერც ერთი მხარე ვერ იქნება დარწმუნებული, რომ ექსპერტიზის დასკვნამისი პოზიციისთვის იქნება სასარგებლო. ექსპერტიზა ტარდება იურიდიული პროფესიისგან განსხვავებულ დარგში, რაც ამცირებს მისი შედეგების პროგნოზირების შესაძლებლობას დაცვის მხარის მიერ. ექსპერტიზა ტარდება იურიდიული პროფესიისგან განსხვავებულ დარგში, რაც ამცირებს მისი

⁵⁴ საქართველოს კანონის პროექტი, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, პირველადი გამოკვლევის უფლებასთან დაკავშირებით. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224257>

⁵⁵ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი, პირველადი გამოკვლევის უფლებასთან დაკავშირებით, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224259>.

შედეგების პროგნოზირების შესაძლებლობას დაცვის მხარის მიერ.⁵⁶ ამის მიუხედავად, მხარეებს დაკისრებული აქვთ ვალდებულება, რომ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის გადასცენ მეორე მხარეს. ბრალდების მხარეს კანონმდებელი ისედაც ავალდებულებს, რომ გამოძიება ჩაატაროს სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად. მაშასადამე, უნდა მოიპოვოს გამამართლებელი მტკიცებულებებიც და საქართველოს სსსკ-ით დადგენილი წესით გადასცეს ის დაცვის მხარეს. ექსპერტიზის დასკვნის შემთხვევაშიც, ბრალდების მხარე ვალდებულია გადასცეს დაცვის მხარეს ბრალდების პოზიციისთვის არახელსაყრელი რომც იყო. საქართველოს სსსკ-ის 146-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ექსპერტის დასკვნის მიღებისთანავე ექსპერტიზის ინიციატორმა მხარემის დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს მეორე მხარეს ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში. მიუხედავად ამ შემთხვევაში მხარეთა თანასწორობისა, მოცემული ვალდებულების დაცვის მხარისთვის დაკისრება ეწინააღმდეგება დაცვის უფლებას, გამომდინარე იქიდან, რომ ბრალდების მხარისგან განსხვავებით დაცვის მხარეს არ ეკისრება ვალდებულება იყოს ობიექტური და ის მოქმედებს მხოლოდ თავისი ინტერესებისთვის. საქართველოს სსსკ-ის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს არა აქვს უფლება, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. დაცვის მხარის მიერ ბრალდებისათვის მის მიერ დანიშნული ექსპერტიზის გადაცემა, რიგ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულის საზიანო მტკიცებულების ბრალდების მხარისთვის გადაცემა, მაშინ როდესაც დაცვის მხარეს უფლება აქვს არ წარადგინოს სასამართლოში მისი გამამტყუნებელი მტკიცებულება.

საქართველოს სსსკ 83-ე მუხლში დარეგულირებულია მხარეთა მიერ მტკიცებულებათა გაცვლის ზოგადი წესი, რომლის თანახმად, მხარეთა მიერ მოთხოვნის დროს არსებული იმ მომენტისთვის არსებულ მტკიცებულებათა სრული მოკულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას. ამ შემთხვევაშიც, სასურველი იქნება თუ დაცვის მხარის მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის გადაცემა მოხდებოდა ამ ზოგადი წესით, შესაბამისად, ბრალდებულსა და მისი ინტერესების დამცველ ადვოკატს ექნებოდათ შესაძლებლობა თავად შეეფასებინათ დასკვნის გადაცემის აუცილებლობა და ისე მიიღონ გადაწყვეტილება.

⁵⁶ სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისთვის, კვლევები და რეკომენდაციები, თბილისი 2015.

თავი IV. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე საპროცესო კანონმდებლობაში

4.1. შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება კონტინენტური სამართლებრივი სისტემის სისხლის სამართლის პროცესში

მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება კონტინენტური სამართლებრივი სისტემის სისხლის სამართლის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობაში. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფს ახასიათებს ინკვიზიციური პროცესი, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ორგანოები, როგორც გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის სტადიაზე, უფლებამოსილი არიან მოიპოვონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები მიუხედავად იმისა, მხარეებმა წარმოადგინეს თუ არა. მაგ. სასამართლო უფლებამოსილია დამოუკიდებლად გამოითხოვოს ესა თუ ის მტკიცებულება, ან მოიწვიოს და დაკითხოს მონწე. სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს აკისრია ვალდებულება *ex officio* გამოარკვიოს ბრალდებულის მამხილებელი და ასევე გამამართლებ-ელი გარემოებები. შეჯიბრებითი პროცესისგან განსხვავებით, მოსამართლე დამოუკიდებლ-ლად ატარებს სრული მოცულობით სასამართლო გამოძიებას და ამ გზით ადგენს ე.წ. „მატერიალურ ჭეშმარიტებას“⁵⁷. კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი მოიცავს ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებს, რომელიც დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა რომალური, გერმანული და კანონიკური ტრადიციების საფუძველზე. კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი აღინიშნება, როგორც Civil Law.⁵⁸ მის მაგალითად გამოდგება საფრანგეთი, სადაც საქართველოს სისხლის სამართლის პროცესისგან განსხვავებით, ფრანგული საპროცესო კანონმდებლობა ინკვიზიციურია, თუმცა ფრანგული კანონმდებლობა ცდილობს შეინარჩუნოს ბალანსი ინკვიზიციურსა და შეჯიბრებით სიტემებს შორის. გამოძიების პროცესში ჩართულია გამოძიების მოსამართლეც, თუ მას საქმე გადაეცა პროკურორის ან დაზარალებულის ინიციატივით. გამოძიების მოსამართლის მიერ წარმართულ გამოძიებას ეწოდება წინასწარი გამოძიება ანუ „მოსამზადებელი ინსტრუქცია (instruction preparatoire) საქმის გადაცემა აუცილებელია გამოძიების მოსამართლეზე დანაშაულის გამოძიებისას. საფრანგეთის კანონმდებლობით მოსამართლეს შეუძლია ჩაატაროს ნებისმიერი

⁵⁷ გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014 წ. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ გვ. 75.

⁵⁸ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004 წ. გვ. 212

მოქმედება, რომელსაც საჭიროდ თვლის სამართლის დასადგენად. ასევე, გამოძიების მოსამართლეს ახორციელებს სასამართლოს ფუნქციებსაც, მაგ. იღებს გადაწყვეტილებას წინასწარი პატიმრობის ჩხრეკა და ამოღების შესახებ.⁵⁹ ამასთან, მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, ბრალდებულმა იყოლიოს დამცველი, იშუამდგომლონ გარკვეული მოქმედებების ჩატარება. ამასთან, არსებობს უდანაშაულობის პრეზუმციის უმნიშვნელოვანესი პრონციპი⁶⁰. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მსგავსად, იტალიაშიც ვხვდებით გამოძიების მოსამართლეს, რომელსაც გააჩნია იგივე უფლებამოსილებები, რაც საფრანგეთში.⁶¹ შევადაროთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობშიც, გამოძიების ფუნქციებს თუ არ ჩავთვლით, იგივე უფლებამოსილებებს ახორციელებს მაგისტრატი მოსამართლე, როდესაც პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიებებისა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შემზღვეველი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ნაწილში ირებს გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება პროკურატურასა და დაცვის მხარეს, საფრანგეთში პროკურატურა უმეტეს შემთხვევაში პროცესის ინიციატორი არის, ცალკეულ შემთხვევებში კი, სამოქალაქო მხარე. მას შეუძლია საჩივრის შეტანა გამოძიების მოსამართლის მოქმედებაზეც. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი წარმოადგენს პროცესის მხარეს, თუმცა, იგი ფორმალურად მხარე ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ბრალმდებელი (ან დაზარალებული) მის წინააღმდეგ დაიწყებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.⁶² აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მეორე მხარე - ბრალდებული და ადვოკატი, პროცესში ჩნდება მას შემდეგ, რაც პროკურორი დაიწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას პირის მიმართ. საქართველოს სსსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბველობის საფუძველზე. ბრალმდებელი ვალდებულია ამტკიცოს პისი ბრალელობა ფრანგულ სისხლის სამართლის პროცესში, თუმცა ბრალდების მტკიცების ტვირთი შემსუბუქებულია დაცვის მოვალეობით, დაამტკიცოს მისი გამამართლებელი ფაქტები. ასევე, ბრალდება შემსუბუქებულია გამოძიების მოსამართლის ფუნქციით, თუმცა იგი მოიპოვებს არამართო ბრალდებულის მამხილებელ, არამედ მის გამამართლებელ

⁵⁹ ავტ. კოლექტივი, ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, 1993 წელი, გვ. 126

⁶⁰ ავტ. კოლექტივი, ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, 1993 წელი, გვ. 132

⁶¹ Changsheng Li, Journal of politics and law, adversary system experiment in continental europe, december 2008.

⁶² იქვე.

მტკიცებულებებსაც. გამოძიება ვალდებულია დაადგინოს ჭეშმარიტება საქმეზე მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად.⁶³

რაც შეეხება სასამართლოში სამართალწარმოებას, ისევე როგორც საქართველოში განსასჯელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა სასამართლოში ბრალდების მხარის შემდეგ დაკითხოს ბრალდების მოწმეები და გამოიძახოს და დაკითხოს თავისი მოწმეები.⁶⁴

ინკვიზიური სისხლის სამართლის პროცესის კიდევ ერთი მაგალითია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობა, სადაც სისხლის სამართლის პროცესში არის სამხრივი ურთიერთობა. კერძოდ, სამართალწარმოების დროს განსასჯელი, პროკურორი და სასამართლო. როგორც გამოძიებას, ასევე სისხლისსამართლებრივ დევნას ხელმძღვანელობას უწევს პროკურორი. პოლიცია მხოლოდ მისი დამხმარის როლში გამოდის. რაც შეეხება, დაცვის მხარეს ბრალდებულს უფლება აქვს აიყვანოს მისი ინტერესების დამცველია ადვოკატი, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ საგამოძიებო მოქმედებაში, რომელიც ბრალდებულის მონაწილეობას მოითხოვს. სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაცვის ადვოკატი სამართლებრივი მდგომარეობით, ბრალმდებელს უთანაბრდება⁶⁵. მხარეები მოქმედებენ შეტიბრებითობის საწყისებზე, თუმცა სასამართლო განხილვის ეტაპზე ეჭვმიტანილის დაკითხვასა და სასამართლო გამოძიებას ახორციელებს სხდომის თავმჯდომარე.⁶⁶

4.2. შეტიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის მოქმედება ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესში

ანგლოამერიკულ სამართალს განეკუთვნება ინგლისის სამართალი, დიდი ბრიტანეთის დომინიონი ქვეყნებისა და ბრიტანეთის იმპერიის ყოფილი კოლონიების სამართალი, ასევე აშშ-ს სამართალი (Common law).⁶⁷ თავდაპირველად პროკურატურა ქირაობდა იურისტებს და ისინი უფრო მეტად პროკურატურის მხრიდან

⁶³ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვო, ბ.ა. ფელიმოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007. გვ. 389.

⁶⁴ ავტ. კოლექტივი, ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, 1993 წელი, გვ. 136

⁶⁵ ავტ. კოლექტივი, ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, 1993 წელი, გვ. 159

⁶⁶ ავტ. კოლექტივი, ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, 1993 წელი, გვ. 524

⁶⁷ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004 წ. გვ.214

ერთვებოდნენ სისხლის სამართლის პროცესში.⁶⁸ ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესს სამართლებრივ ლიტერატურაში ყოველთვის ერთნაირად არ ახასიათებენ. უფრო ხშირად საუბრობენ მასზე, როგორც შეჭიბრებითზე (adversarial). ხოლო რიგ შემთხვევებში ტერმინი ბრალდებითიც (accusatorial) გამოყენება. ინგლისურ სისტემაში ბრალდებისა და დაცვის მხარე, განიხილება თანაბარი იურიდიული შესაძლებლობების მქონე მხარეებად, რომლებიც დამოუკიდებლად მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს და ცდილობენ სასამართლოს დარწმუნებას თავისი პოზიციის სისწორეში. სასამართლოს განხილვის დროს მოსამართლე მხარეთა პოზიციით არის შეზღუდული და აფასებს მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ - მაგალითად, მონშეებისა და ექსპერტების ჯვარედინი (cross examination) გზით - წარდგენილ მტკიცებულებებს⁶⁹. როგორც პროფ. ე. სენდერსი აღნიშნავს, სისხლის სამართალწარმოების ანგლოსაქსური მოდელის მკვლევარები ბოლო წლებში საკმაოდ ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ რომ შეჭიბრებითი პროცესისათვის დამახასიათებელია მისწრაფება „დამტკიცებისკენ“ (proof) და არა „ჭეშმარიტებისკენ“ (truth). ინგლისშიც ისევე, როგორც საქართველოში მტკიცების ვალდებულება (ტვირთი) აკისრია ბრალმდებელს, მაგრამ ჩვენი კანონმდებლობისგან განსხვავებით, არსებობს გამონაკლისები, კერძოდ, ბრალდება იმ შემთხვევაშია ვალდებული ამტკიცოს ბრალდებულის ბრალი თუ ის უარყოფს, ესე იგი როცა მხარეებს შორის არის დავა. ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი, შესაძლოა ეს ტვირთი გადატანილი იქნეს დაცვის მხარეზე. მაგ. „კორუფციის თავიდან აცილების შესახებ კანონის თანახმად, მოხელე, რომელმაც ვინმესგან მიიღო საცუქარი ვალდებულია დაამტკიცოს, რომ მისი მოქმედებანი არ არის დაკავშირებული კორუფციასთან. „დანაშაულთ თავიდან აცილების შესახებ“ კანონით: პირი, რომელსაც აღმოაჩნდა იარაღი, ვალდებულია ამტკიცოს მისი შეძენა, შენახვისა და ტარების უფლების არსებობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემთხვევაში მსგავსი გამონაკლისები არ არსებობს და ნებისმიერ შემთხვევაში იქნება ეს კორუფციული დანაშაული თუ ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა ან/და ტარება მტკიცების ტვირთი ეკისრება მრალდების მხარეს.⁷⁰ რაც შეეხება მტკიცებულებათა მოპოვებასა და საპროცესო დამაგრებას, ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში ბრალდების მხარეს არაფინ და არაფერი ავალდებულებთ, რომ იყვნენ ობიექტურნი. მათი საქმეა შეკრიბონ მხოლოდ ბრალდებულის გამამტყუნებელი მტკიცებულებები. ამასთან, ინგლისში, ისევე როგორც ამერიკაში, ბრალდების მხარე არ არის ვალდებული, ვიდრე საქმე არ გადაცემულა

⁶⁸ John H. Langbein, the origins of adversary Criminal Trial, Oxford: Oxford University Press, 2003.

⁶⁹ მ. ჰეგერი, ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობებში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამონკვევა, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2016. გვ. 5.

⁷⁰ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვო, ბ.ა. ფილიმოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007. გვ. 131.

სასამართლოსთვის თავიანთ საპროცესო მონინააღმდეგეს გააცნონ საქმის მასალები სრულად. დაცვის მხარისთვის მხოლოდ მცირე ინფორმაცია არის ცნობილი.⁷¹ ადვერსალური (შეტყუებითი) და ინკვიზიციური პროცესები ძირითადად განსხვავდებიან ორი თვალსაზრისით: მოსამართლის დამოკიდებულებით პროცესის სხვა მონაწილეების მიმართ და სასამართლოში დასადგენი ჭეშმარიტების გაგებით.⁷² ინგლისი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ბრალდებულს უფლება აქვს რომ ბრალდების მხარის საპირისპიროდ ჩაატაროს კონტრაგამოძიება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემთხვევაში, კანონმდებელი ავალდებულებს გამომძიებელს, რომ გამოძიება ჩაატაროს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ კი, დაცვის მხარეს უფლება აქვს მოთხოვნისთანავე მიიღოს იმ მომენტისათვის ბრალდების მხარის მიერ შეგროვებული მტკიცებულებები. ასევე, როგორც ზემოთაქ აღინიშნა, შეტყუებითია ამერიკის სისხლის სამართლის პროცესი. სასამართლოში პროცესზე წარმოდგენილია ორი დაპირისპირებული მხარე, რომელიც ცდილობს სასამართლო დაარწმუნოს თავის სიმართლეში. ბრალმდებლის მიზანია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირის დასჯა, ხოლო დაცვის მხარის ამ იერიშის მოგერიება.⁷³

⁷¹ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვო, ბ.ა. ფილიმოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007. გვ. 14.

⁷² მ. ჰეგერი, ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობებში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამონკვევა, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2016. გვ. 5.

⁷³ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვო, ბ.ა. ფილიმოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი 2007. გვ. 263

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო. სკ-ს 31-ე მუხლის მიხედვით, აღიარებული და დაცულია სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლება. აღნიშნული მუხლი ქმნის შეჯიბრებითი და თანასწორი პროცესის კონსტიტუციურ გარანტიებს.

სამართლიანი სასამართლო განხილვა წარმოუდგენელია მხარეთა განსაზღვრის და დაცვის გარეშე. აღნიშნული გულისხმობს, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეს მიუხედავად მათი თანასწორობის აღიარებისა აქვთ განსხვავებული უფლებები მათი სტატუსიდან გამომდინარე.

როგორც უკვე აღინიშნა, ბრალდების მხარე მოქმედებს სახელმწიფოს სახელით და დაცვის მხარეს სახელმწიფო რესურსებით უპირისპირდება, რაც მეტ შესაძლებლობებს აძლევს ჩაატაროს სრულყოფილი გამოძიება და ფინანსური თუ ადამიანური რესურსით მივიდეს სასურველ შედეგამდე.

სახელმწიფოს მიზანი არის სამართლიანობის აღდგენა და ჭეშმარიტების დადგენა, რაც სრულყოფილად ჩატარებული საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების და მათი საშუალებით მოპოვებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად მიიღწევა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გამოძიების ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად მომხდარი დანაშაული, მიუხედავად იმისა, დაცვის მხარის ჩართულობა და მისი მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში აუცილებელია, სამართალწარმოების მეტი ობიექტურობისა და გამჭვირვალობისთვის. უდანაშაულო პირის დაკავება არცერთი სახელმწიფოს თვითმიზანი არ არის, თუმცა ბრალდებულის დაცვის უფლების გარეშე დატოვება და მისი ისედაც მონყვლადი მდგომარეობით სარგებლობა არ იქნება შესაბამისობაში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან.

ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული რეგულაციებით შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი, გარკვეულწილად ბრალდების მხარეს უფრო ხელსაყრელ პირობებს უქმნის, ვიდრე დაცვის მხარეს. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით უკეთესი იქნება თუ გარკვეული ცვლილებები განხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით მნიშვნელოვანი როლი აქვს მონშეს, რომელიც ხშირ შემთხვევაში გამოძიებისთვის საჭირო, არსებით ინფორმაციას ფლობს. შესაბამისად, მონშის მიერ გამოძიებისათვის მონოდებული ინფორმაცია, განსაკუთრებით დანაშაულის ჩადენიდან მოკლე პერიოდში გამოკითხვის დროს, ძალიან ეხმარება გამოძიებას სწორი მიმართულებით სვლასა და სიმართლის დადგენაში. მონშე თავისი სტატუსით, ასევე დიდი მნიშვნელობის მატარებელია დაცვის

მხარისთვის, რადგან შესაძლოა ისეთ ინფორმაციას ფლობდეს, რომელიც პირდაპირ გამოიხატავს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დღეს არსებული ნორმის მიხედვით, დაცვის მხარეს არ აქვს უფლება მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხოს გამოსაკითხი პირი, რომელმაც გამოკითხვაზე უარი განუცხადა, მაშინ როდესაც მსგავსი უფლებით სარგებლობს ბრალდების მხარე. მოსამართლის წინაშე პირის დაკითხვა გამოიხატავს მასზე ყოველგვარი ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნული გზით მოპოვებული ჩვენება იქნება უფრო სანდო და შეცვლის ან გაყალბების რისკი ფაქტიურად არ არსებობს. ამასთან, პირი რომელსაც არ სურს საკუთარი ნებით ინფორმაციის გამჟღავნება ვალდებული გახდება გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება. ინფორმაციის მიღება კი, მნიშვნელოვანია როგორც პროკურატურისთვის, ისე ბრალდებულისთვის და მისი ადვოკატისთვის. შესაბამისად, მათაც იგივე ან ზოგ შემთხვევაში უფრო მეტი ინტერესი აქვთ მიიღონ ინფორმაცია და დაამტკიცონ უდანაშაულობა. აქედან გამომდინარე, დაცვის მხარის ამგვარი შეზღუდვა გაუმართლებელია და არ ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. საკანონმდებლო დონეზე უნდა შეიცვალოს აღნიშნული ნორმა და ბრალდების მხარის მსგავსად, დაცვის მხარესაც შეეძლოს გამოსაკითხი პირის მიერ უარის თქმის შემთხვევაში მისი დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე.

პროცესის მონაწილე მხარეთა მეტი თანასწორობისთვის აუცილებელია მათთვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება. დაცვის მხარე გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს შეზღუდული უფლებებით სარგებლობს. რიგ შემთხვევებში მტკიცებულების მოპოვება მთლიანად ბრალდების მხარისთვის არის მინდობილი.

საქართველოს სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარე სარგებლობდა დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N1/4/809 გადაწყვეტილებით, აღნიშნული დანაწესი არაკონსტიტუციურად გამოცხადდა საქართველოს სონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით (დღეს მოქმედი რედაქციით 31-ე მუხლი). მოცემული ნორმა არღვევდა სამართლიან ბალანსს მხარეებს შორის და ბრალდების მხარეს ანჭებდა პრივილეგიას სათანადო რეგულაციის გარეშე. საკანონმდებლო დონეზე მომზადდა კანონპროექტი ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, თუმცა სამართლიანობისთვის კარგი იქნებოდა თუ დაცვის მხარეც ისარგებლებდა საკუთარი მოწვეული ექსპერტის ჩართვის უფლებამოსილებით ბრალდების მხარის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დროს. აღნიშნული უზრუნველყოფდა მხარეთა თანაბარ პირობებში ჩაყენებას. ასევე, მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის უზრუნველსაყოფად მისაღები იქნება, თუ მხარეც ექნება წვდომა და შესაძლებლობა მიმართონ სასამართლოს და მოიპოვონ კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დაცვის საპირწონედ დგას

სამართლის დადგენის ინტერესები. მიუხედავად პირადი ცხოვრების და პერსონალური მონაცემების მნიშვნელობისა მხოლოდ აღნიშნული ვერ იქნება საკმარისი და პროპორციული სამართლიანობის აღდგენასთან მიმართებით. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს ისეთი მექანიზმების შექმნას, რომელიც თანაბარად უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებების დაცვას და მათთვის მყარი გარანტიების შექმნას. ეს ერთი მხრივ სამართლიან და თანასწორ სასამართლო განხილვაში ვლიდნება, მეორე მხრივ კი, გარეშე პირების უფლებების პატივისცემაში.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

(ნორმატიული მასალა ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/>)

1. საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო)
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (რომი 1950 წლის 4 ნოემბერი).
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
5. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“
6. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 18 დეკემბრის (EU) № 45/2001 რეგლამენტი „ევროპული გაერთიანების ფარგლებში არსებული დაწესებულებებისა და ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვისა და აღნიშნული მონაცემების თავისუფლად გადაცემის შესახებ“.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015 წელი;
2. ავტ. კოლექტივი, ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, 1993 წელი,
3. ავტ. კოლექტივი, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2016 წელი;
4. ავტ. კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013;
5. ავტ. კოლექტივი, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ დაკვეთით, თბილისი, 2016 წელი.
6. ავტ. კოლექტივი, რედ. ი. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2013 წ;
7. ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართული სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წელი;

8. გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014 წელი;
9. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004 წელი;
10. ი. აქუბარდია, მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, წიგნი მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, გამ. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014 წელი;
11. ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი;
12. ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები (2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით);
13. კ.ფ. გუცუნკო, ლ.ვ. გოლოვო, ბ.ა. ფილიმოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007 წელი;
14. ნ. მჭედლიძე, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი 2017 წელი;
15. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, INTERIGHTS, თბილისი, 2008 წელი;
16. შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2010 წელი;

სამეცნიერო სტატიები

1. თ. ლალიაშვილი, „გამოძიების პროცესში პირის მოწმის სახით დაკითხვის პრობლემატური მხარეები და მისი სამართლებრივი შედეგები“, აქრნალი სამართალი და მსოფლიო, #4/ 2016, თბილისი;
2. მ. ჰეგერი, ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობებში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის აქრნალი, 2016 წელი;
3. მ. მამნიაშვილი, გამოძიების ორგანიზაციისა და გამომძიებლის სტატუსის სრულყოფისათვის, ქუთაისი, მეორე საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“, გამოცემა N 2, 2017 წელი;
4. John H. Langbein, the origins of adversary Criminal Trial, Oxford: Oxford University Press, 2003;

5. Changsheng Li, Journal of politics and law, adversary system experiment in continental europe, december 2008.

სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს, 2016 წლის 06 ოქტომბერის №1გ/ 1563 განჩინება;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს, 2019 წლის 17 მაისი №1გ/ 752-19 განჩინება;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს, 2018 წლის 02 თებერვლის №1გ/133-18 განჩინება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2018 წლის 14 დეკემბერის, №1/4/809 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ტიტუკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. ;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/650,699, საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები: ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

7. მირილაშვილი რუსეთის წინააღმდეგ (Mirilashvili v. Russia), N6293/04, 2008 წლის 11 დეკემბერი;
8. CASE OF FOUCHER v. FRANCE, 10/1996/629/812, 17 February 1997.
9. Vyrentsov v. Ukraine, N 20372/11, 2013 წლის 11 აპრილი;
10. Jonh Murray v. The united kingdom, N18731/91, 1996 წლის 8 თებერვალი;
11. DOWSETT v. THE UNITED KINGDOM, N 39482/98, 2003 წლის 24 ივნისი;
12. Coeme and others v. Belgium, no 32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96, 33210/96, 2000 წლის 18 ოქტომბერი;
13. Deweer v. Belgium, N 6903/75, 1980 წლის 27 თებერვალი;
14. Fitt vs. the U.K., N29777/96, 2000 წლის 16 თებერვალი.

სხვა წყაროები:

1. სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შევიწროებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისთვის, კვლევები და რეკომენდაციები, თბილისი 2015 წელი;
2. საგამოძიებო სისტემის ანალიზი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია (სიფა), 2018 წელი;
3. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათა შორისი საკოორდინაციო საბჭოს მე-20 სხდომის ოქმი, 2015 წლის 31 ოქტომბერი, თბილისი სიუსტიციის სახლი;
4. განმარტებითი ბარათი, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, მონმის დაკითხვის ახალ წესთან დაკავშირებით; <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/103905>
5. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათი, პირველადი გამოკვლევის უფლებასთან დაკავშირებით; <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224259>.
6. საქართველოს კანონის პროექტი, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, პირველადი გამოკვლევის უფლებასთან დაკავშირებით. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224257>